რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 23 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯ. რ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ფოსტით ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 198. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 152 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 152

დიდი ჯიხაიშის რ. ს. დ მუშათა პარტიის კოლექტივი და აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ 24 სექტემბერს, კვირას, დილით 9 საათზე, ს. დიდი ჯიხაიშში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავათ კოლექტივის და კომიტეტის თავმჯდომარის საუკეთესო მებრძოლის, ვერაგულათ მოკლულის

ილია მოსეს ძე ქუთათელაძის

ხოლო 1 საათზე ამავე წესით გადახდილი იქნება პანაშვიდი სასაფლაოზე ქალაქ ხონში. ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ. 2—1

დიდი ჯიხაიშის მასწავლებელთა საბჭო, კოოპერატივის, სამკითხველოს, ქსენონაფთიაქის და ბანკის გამგეობები აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას, რომ 24 სექტემბერს, კვირას დილით 9 საათზე, ს. დიდ-ჯიხაიშში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავათ ამ დაწესებულებათა წევრის, იშვიათი მოქალაქის, ვერაგულათ მოკლულის

ილია მოსეს ძე ქუთათელაძის

პირველ საათზე ამავე წესით გადახდილი იქნება პანაშვიდი სასაფლაოზე ქალაქ ხონში. ამხანაგებს ვსთხოვთ დაესწრონ. 2—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მატრონე და ესტატე კასრაძეები შვილებითურთ პეტრე, ნადია და სტეფანეთი აუწყებენ ნაცნობ მეგობართ და ნათესავთ, რომ 24 ამ თვეს, კვირას, ფოთის ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტის

ალექსი ესტატეს ძე კასრაძის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 9 ს., პანაშვიდი წირვის შემდეგ.

პური

იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც საზრდოობენ საზოგადო სადგურ ადგილებში (სასადილოებში, რესტორანებში, კაფეებში და სხვ.)

სასადილოებზე, რესტორანებზე და სხვ. მისაღებ პურის რაოდენობის გამოსარკვევად, 25 სექტემბრიდან ზემოხსენებულ საზოგადოებრივ საკვებავ ადგილებში, პურის საუზმისათვის, სადილისთვის და ვახშმისთვის მიიღებენ **მხოლოდ და მხოლოდ** ჩვეულებრივ და ნაწილობრივ საპურო ტალონებით.

ნაწილობრივ ბარათში მთელი დღის რაციონი განაწილებულია 4 ტალონად, ასე რომ ყველას საშუალება ეძლევა მთელი დღის რაციონი დაყონ 4 ნაწილად და თვითეული ამ ნაწილის მიღება შეიძლება ყოველ დროს, ყველა ფურნეში, სასადილოში და რესტორანში.

ჩვეულებრივ ბარათების ნაწილობრივ ბარათებზე შეცვლა შეიძლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში.

იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელთაც საპურო ბარათები პირდაპირ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საპურო ბიუროდან აქვთ მიღებული—შეუძლიათ ჩვეულებრივი ბარათი ნაწილობრივ ბარათზე შესცვალონ მხოლოდ ამავე საპურო ბიუროში, მაგრამ ამასთანავე საჭიროა წარადგინონ საპურო ბარათების სია, მათი ნომრების ჩვენებით, რომელიც იქნება შემოწმებული ამავე დაწესებულების პასუხისმგებელი პირისგან.

3—3 **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

პური

დამატებით პურის ბარათებით (წითელით—ფიზიკურათ მომუშავეთათვის) და ნაწილობრივ ტალონებიან ბარათებით (მწვანე—სასადილოში და რესტორანებში მოსიარულეთათვის) ი 22 ოქტომბრამდე მიეცემა მიმდინარე ტალონებით თანახმათ ტალონებში აღნიშნულ დღის და რიცხვისა.

23 ოქტომბერს დამატებითი და ნაწილობრივ წიგნაკებით პური მიეცემა ,,23 აგვისტოს" ტალონით, 24 ოქტომბერს ,,24 აგვისტოს" ტალონით და ისე შემდეგ.

ტალონები დამატებითი და ნაწილობრივი ბარათები (წითელი და მწვანე) რომელზედაც აწერია: ,,20 აგვისტო", ,,21 აგვისტო" და ,,22 აგვისტო"—გაუქმებულია.

3—2 **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა

ამა წლის 25 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა დაწესდეს მწვანილეულობაზე გადასაგზავნ სადგურზე მიტანით შემდეგი ფასები:

ახალ კომბოსტოზე	1 მან. 80 კაპ. ფუთზე,
ახალ ქარხალზე	2 მან. 50 კაპ. ფუთზე,
სტაფილოზე	3 მან. 70 კაპ. ფუთზე,
ხახვზე	4 მან. 50 კაპ. ფუთზე,

ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გაზეთში გამოქვეყნების დღიდან.

2—2 **თავმჯდომარე დანდუროვი.**

ყველა ამიერ-კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ ორგანიზაციის საყურადღებოთ.

აუცილებელი განმარტება

რადგანაც აგზავნით ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ ხვედრ პროცენტებს უნდა გვაცნობოთ, რომელი თვისას აგზავნით, რამდენი წევრი ირიცხებოდა და სწორი მისამართი. ჩვენი მისამართი: Тифлисъ, Головинс. просп. № 12. Облазт. Комит. Закав. Орг. Р. С.-Д. Р. П.

საოლქო კომ. ბიურო.

რაზმის „წითელი ჯვარის“

მოსამსახურეთა სოციალ დემოკრატიული ჯგუფის ცენტრალური კოლექტივის ბიურო ამით მოაგონებს ამხანაგებს, რომ საწევრო აგვისტოს და სექტემბრისთვის ხვედრი ფულის შემოტანა დააჩქარონ, ვინაიდან ანგარიშის შედგენა გვიანდება.

ფული მიიღება წ. ჯ. მთავარი რწმუნებულის სამმართველოში ანასტასიის ქუჩა № 13, ცენტრ. კოლექტივის მდივანთან ვლ. ჯაველიძესთან 12—3 საათამდე.

ცენტ. კოლექტივის ბიურო.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლთან პირდაპირ, რაზმიშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, სად. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ყველა პარტიულ ს.-დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

საოლქო ყრილობის მოწვევის დრო მოახლოვებულია.

ყრილობას ბევრი საყურადღებო საქმეები აქვს გადასაჭრელი, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლათ საჭიროა თვით პარტიის მდგომარეობის გათვალისწინება, მისი შინაგანი ცხოვრების და შემოქმედებითი მუშაობის აღნუსხვა.

რომ ყრილობაზე ამის გარკვევამ დიდი დრო არ წაიღოს, საოლქო კომიტეტი სთხოვს ყველა ორგანიზაციებს წინდაწინვე გამოგზავნონ წერილობითი ანგარიშები, რომელშიც უნდა აღნიშნულ იქნეს პარტიის წევრთა ზრდა, პოლიტიკურ კამპანიების წარმოება, საერთო რევოლიუციურ მოძრაობაში და ორგანოებში მონაწილეობა, ქალაქებში და სოფლათ არჩევნების ჩატარება, ორგანიზაციის შინაური მდგომარეობა, ფინანსები და სხვ.

ამხანაგებო!

დააჩქარეთ ანგარიშების წარმოდგენა, რომ საოლქო კომიტეტს საშუალება მიეცეს სრული სურათი გადაუშალოს ყრილობას პარტიის დღევანდელი მდგომარეობისა.

საოლქო კომიტეტი ამიერ კავკასიის ორგანიზაციების რ. ს.-დ. მ. პ.

ახალი მონოპოლია

რუსეთის დემოკრატიის ერთი მთავარი მოთხოვნილებათაგანი იყო ეკონომიური არევდარევისაგან თავის დაღწევა: ამ მიზნით დემოკრატია თხოულობდა წარმოებაზე მთავრობის კონტროლის დაწესებას, რომ ამ მხრით საქონლის წარმოების ზრდა და თან მისი გაიაფება გამოეწვია. ბოლშევიკები სახელმწიფოს ზედამხედველობასაც არ ნდობდენ და პირდაპირ მუშათა კონტროლის დაწესებას მოითხოვდენ.

მართალია, სანამ სახელმწიფო და კაპიტალიზმი არსებობს ასეთი კონტროლი პირდაპირ აბსურდია, ვინაიდან შეუძლებელია დაქირავებული დამქირავებელს სათავეში მოექცეს და ისევ დაქირავებულათ დარჩეს. ცხადია ბოლშევიკების ზრახვა ეხება არა დღევანდელ ბურჟუაზიულ რევოლიუციას, არამედ—მომავალ სოციალისტურ რევოლიუციის გადამავალ ხანას. ამიტომ იგი დღეს ოცნების სამეფოში ცურავს და მხოლოდ განუხორციელებელ ილიუზიებს ბადებს ისე, როგორც სხვა მრავალი მოთხოვნილებები და ლენინის ძიებები ბოლშევიკების სამოქმედო გეგმიდან. მაგრამ თუ ეს ასეა, დრ. მთავრობა მეორე მხრით თითქო განგებ მოწადინებულია თავის მოქმედებით ასეთ უტოპიას მასსაში გასავალი მისცეს და სახელმწიფოს დემოკრატიულ შემოქმედებაზე იმედი დაუკარგვინოს.

სურსათ სანოვაგის სიძვირე მთავარი ძარღვია უკმაყოფილების, იგი ნოყიერ ნიადაგს ქმნის კონტრ რევოლიუციურ აგიტაციისათვის. და დრ. მთავრობის მოქმედება კი თითქოს განგებ მაინც ამ გაძვირების შექმნას ემსახურება.

ჯერ იყო და სრულიად მოულოდნელათ, 24 საათში პურის ფასი 100 პროცენტით ასწია; ახლა ასეთსავე ექსპერიმენტს გვპირდება შაქრის ფასების საკითხში.

პურზე ეს გაძვირება მოყვა მონოპოლიის გამოცხადებას, ე. ი. ამ ქსაგნით ვაჭრობის ერთიანათ მთავრობის ხელში გადასვლას. ახლა შაქრის გაძვირებაც ამგვარათვე მონოპოლიის შემოღებასთან არის დაკავშირებული.

ამრიგათ მონოპოლია, რომელსაც დემოკრატია მოითხოვდა ფასების გასაზომიერებლათ და საქონლის წესიერათ, თანახმათ განაწილების გასაადვილებლათ, კერძო ვაჭარ სპეკულიანტთა ასალაგმათ, ახლა თვით იქცევა გაძვირების უძლიერეს იარაღათ.

მონოპოლია ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რა კი იგი თავის ძირითად მიზანს ვერ ემსახურება. შაქარზე ფასის მომატება განსაკუთრებით განსაცვიფრებელია. დღეს შაქარი 35 კ. იყიდება გირვანქა, მონოპოლიური ფასებით კი, თუ დღეშის ცნობები შემცდარი არ არის, მისი ფასი საზღაპროთ აიწევს—გირვანქა 1 მ. 50 კ. ასცილდება, ე. ი. 400 პროც. მომატება.

ეს კი ყველაფერს შეჩვეულ რუსეთის მცხოვრებისთვისაც არაჩვეულებრივი, პირდაპირ წარმოუდგენელი გაძვირებაა.

რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ასეთ პირობებში მონოპოლიას? იგი მხოლოდ გაამართლებს სპეკულიანტების ნამოქმედარს. იგი მხოლოდ გადაიტანს ხალხის გულისწყრომას სპეკულიანტებიდან თვით დრ. მთავრობაზე და დემოკრატიულ ორგანოებზე, რომელთაც გაიაფების ნაცვლათ, სიძვირე წარმოშვეს და ღალხინების მაგიერ გაჭირვება გაათკეცეს.

დემოკრატიული ორგანოები ვალდებულია ამაზე ხმა ამოიღონ და მასსის სამართლიან აღშფოთებას მალამო გამოუნახონ.

ასეთი ეკონომიური პოლიტიკა მიუცილებლათ დაღუპავს რევოლიუციას.

დროა იგი სხვა გზაზე იქნას დაყენებული.

დროა ხალხის გაჭირვებას მეტი ყურადღება მიექცეს.

კოალიცია

დემოკრატიულმა თათბირმა პეტროგრადში დრ. მთავრობის შედგენას საფუძვლათ დაუდვა პრინციპი კოალიციის.

მაგრამ ეს პრინციპი გაიარა იმდენათ მცირე უმრავლესობით, (სულ 78 ხმით), რომ მისი საბოლოოთ ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია.

შემდეგ მთელი რიგი შესწორებების მიღებით ამ კოალიციას თითქმის მთელი თავისი შინაარსი დაეკარგა, მაგ., კადეტებთან კოალიცია უარყოფილ იქნა. ამისათ კი იგი ფაქტიურათ განუხორციელებელია.

ამიტომ საბოლოოთ დასმული ფორმულა შესწორებებიანათ დიდის უმრავლესობისაგან უარყოფილი იქნა.

აქ თავდაპირველათ ეცემა მკითხველს თვალში ერთგვარი ულოღიკობა კრების. რამდენიმე საათის შემდეგ იგი უარყოფს იმ ფორმულას, რომლის ძირითადი პრინციპი იმავე კრებაზე მიიღო.

ეს ულოღიკობა ნიშანია დიდი რყევისა და გაურკვევლობის თვით ყრილობაზე. ახალი პრინციპი რევოლიუციურ მთავრობის შედგენის ისე იოლათ და ჩქარა ვერ იკაფავს გზას, როგორც ეს სასურველი იყო. დემოკრატია რყევაშია, მის დიდ ნაწილს არ სწამს ჯერ კიდევ თავისი დამოუკიდებელი ძალის სიძლიერე, არ აქვს დიდი იმედი დამოუკიდებლათ მთელი სახელმწიფო საქმის გაძღოლის და ვერ ბედავს მთელ პასუხისმგებლობის თავის თავზე მიღებას.

გაბედული ნაწილი დემოკრატიისა, მუშათა კლასი, რომლის წარმომადგენლები შეადგენენ თათბირის მემარცხენე ფრთას, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მთელი დემოკრატიის თავის გარშემო შემოკრებას.

შინაური განხეთქილება ბოლშევიკებსა და დანარჩენ ფრაქციებს შორის, ასუსტებს მის ძალას და გავლენას. ბოლშევიზმის უკიდურესი ლოზუნგები თავის ანტისახელმწიფოებრივი შინაარსით, თავის ანარქიული ხასიათით ყოველ იმედს უკარგავენ დემოკრატიას მასთან თანამშრომლობის.

აი, აქედან წარმოსდგება ეს რყევა დემოკრატიულ თათბირის.

სადაა ხსნა ასეთ მდგომარეობიდან?

ჩვენ წინეთაც აღვნიშნეთ და ახლაც უნდა გავიმეოროთ. ერთათ ერთი გამოსავალი გზა—ეს დემოკრატიის შემადგენელ ნაწილების და ფრაქციების შეთანხმებაშია. ასეთ შეთანხმების საფუძველი კი გონიერი კომპრომისია.

მათ უნდა სცადონ გაერთიანება, ერთი პლატფორმის შექმნა, უკიდურესობის უარყოფა როგორც მარჯვნით, ისე მარცხნით.

უნდა ბოლო მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა ბოლშევიკების ანარქიზმი ბადებს პოტრესოვშჩინას და ეს უკანასკნელი თავის ანტიდემოკრატიული გამოსვლებით ასაზრდოებს ბოლშევიკთა დემაგოგიას.

დემოკრატიამ უნდა უარყოს ერთის სინდიკალისტური ტენდენციები, მეორეთა ოპორტუნიზმი, ამით იგი შესდგება ნამდვილ მარქსისტულ გზაზე, ანგარიშს გაუწევს ძალთა განწყობილებას და მიზნათ დაისახავს მხოლოდ ისეთ პროგრამის განხორციელებას, რომლის განხორციელება ფაქტიურათ შესაძლებელია.

დემოკრატიულმა თათბირმა, ეჭვი არაა, იგრძნო ასეთი მომენტის მოახლოვება.

ირ. წერეთლის წინადადება, რომ შესდგეს თათბირი ფრაქციების და პარტიების პრეზიდიუმთან ერთად ამ საერთო ხაზის გამოსამუშავებლათ—მიღებულ იქნა.

ამის გარეშე შექმნა ძლიერი მთავრობის ფუჭი ოცნებაა.

დემოკრატიულმა თათბირმა კი აუცილებლათ უნდა შექმნას ძლიერი მთავრობა. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს უსაშინლესი ანარქია მოელის და რევოლიუციას სრული გაკოტრება.

ეს ერთბაშათ იგრძნო დემოკრატიულმა თათბირმა, როცა ირ. წერეთლის წინადადება რომ თათბირი არ დაიშლება, სანამ მთავრობის შედგენას არ დაათავებს, დაუსრულებელი ერთსულოვანი ტაშით შეეგება, და ერთხმათ მიიღო. აქ უკვე გაქრა წინააღმდეგობა სხვადასხვა დემოკრატიულ ფრაქციებს შორის. ყველა შეაერთა ამ საშინელმა მოსალოდნელმა საფრთხემ, რომელიც რევოლიუციას წინ აუტუზა.

ამავე გრძნობამ, ამავე რევოლიუციურმა ინსტიქტმა უნდა უკარნახოს მათ შეთანხმება და კომპრომისი დემოკრატიის გასაერთიანებლათ. ამ კომპრომისს საფუძვლათ უნდა დაედვას დემოკრატიული და რევოლიუციური მთავრობის შედგენა, ყველა დემოკრატიულ ელემენტების მონაწილეობით. ცენზიან-ბურჟუაზიის მთავრობაში შემოყვანის საკითხი, როგორც განხეთქილების შემომტან დემოკრატიამ უნდა მოიხსნას. ბურჟუაზიულ წრეებიდან შეიძლება აყვანა მხოლოდ იმ ჯგუფთა წარმომადგენლების, რომელნიც სავსებით მიიღებენ დემოკრატიულ პროგრამას და მის განხორციელებას წინ არ გადაეღობებიან.

პრესა.

„სახალხო საქმეს“ ერთი მთავარი მიზანი აქვს—ესაა სოც. დემოკრატების როგორმე წინააღმდეგობაში დაჭერა. მაგრამ ყოველ ასეთ ცდის დროს თვითონ ვარდება წინააღმდეგობაში და მხოლოდ თავის ნაციონალისტურ მისწრაფებებს აშკარავებს. ასე დაემართა მას ქართულ პოლკების საკითხშიაც.

ასეთ პრინციპზე ჯარების შედგენა, როგორც ვიცით, თავდაპირველათ უკრაინელებმა მოისურვეს და კიდევაც შეუდგენ გადაწყვეტილების დაუყონებლივ სისრულეში მოყვანას. საბუთი ასეთი საქციელისა იყო ნაციონალისტური მოსაზრება, ესე იგი საკუთარი ჯარის ყოლა, რომელსაც რადის ნაციონალური მოთხოვნილებისთვის უნდა იარაღით მხარი დაეჭირა.

ცხადია, ეს ნიშნავდა ჯარში განხეთქილების შეტანას, საერთო დემოკრატიულ საქმის ნაცვლათ თავის განკერძოებულ მიზნების წამოყენებას.

რა გასაკვირველია, რომ ამან პროტესტი გამოიწვია დემოკრატიაში. დემოკრატიას არსად არ გამოუთქვამს, არც ჩვენ გვითქვამს, რომ ჯარის ნაციონალურ პრინციპის მიხედვით შედგენა თავისთავად ბოროტებაა და პრინციპიალურად უარსაყოფია.

ჩვენ მხოლოდ ვგმობდით ასეთი საქმის განკერძოებულათ დაწყებას რადგანაც ეს იქნებოდა დემოკრატიისგან გამოთიშვა.

ფედერალისტებს ახლაც ჰგონიათ, რომ ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრუნვა—ეს მხოლოდ მათი პრივილეგიაა, რომ ქართველთა ინტერესების მხედველობაში მიღება შეუძლია მხოლოდ ქართველ ნაციონალისტს ხოლო დემოკრატია ჩვენი და სხვა ერის ამაში დაინტერესებული არ არის. ჩვენ კი გვგონია, რომ დემოკრატია ყველა ერის მოწადინებულია ერთა ცხოვრება ნორმალურ განვითარების კალაპოტში ჩააყენოს. ამით იგი იცავს თვით დემოკრატიის ინტერესებსაც.

ამიტომ ჩვენთვის შესაძლებელია ის, რაც ნაციონალისტებისთვის აზრათაც არ მოსდით. მათ ჰგონიათ:

,,ჯარების ნაციონალიზაცია სწორეთ იმიტომ ხორციელდება დღეს, რომ ამას დაჟინებით მოითხოვდენ ერები და იბრძოდენ კიდეც ამისთვის".

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ერთა ბრძოლას ამ მხრივ მნიშვნელობა არ ქონდეს. მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ამ საკითხშიაც დემოკრატიას ეკუთვნის. მისი ნების გარეშე დღეს ვერც ერთი რეფორმა ვერ განხორციელდება.

დემოკრატია კი დღემდე ერთბაშად ასეთ ზომების შემოღებს სწორედ სამხედრო მოსაზრების და სხვა ზოგადი რევოლიუციურ მიზნების სახელით დღეს იგი შესაძლებლად სცნობს ამის განხორციელებას, ვინაიდან თვით რევოლიუციაში და მის შინაარსში ამ ხნის განმავლობაში ბევრი ღრმა ცვლილებები მოხდა.

მაშასადამე, ეს რეფორმა ხორციელდება დემოკრატიის საერთო სურვილით. ესე იგი,

საერთაშორისო ომი.

ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინიის ფრონტებზე მხოლოდ სროლაა. საგულისხმიერო ბრძოლა არსად მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე გერმანელები თავდადებით იბრძვიან.

არა მისგან გამოთიშვით, როგორც ეს სურდათ ჩვენს ნაციონალისტებს, როგორც ეს ჩაიდინეს უკრაინელებმა, არამედ სოლიდარულ მოქმედებით.

ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობას უფრო სწორი გზა აქვს ეროვნულ ინტერესების დაკმაყოფილებისთვისაც, ვინემ ნაციონალისტთა ეროვნულ ბრძოლას.

და ჩვენც მხოლოდ ამ გარემოებას გაუსვით ხაზი, როცა აღვნიშნეთ, რომ დღეს სამხედრო უწყებაც შესაძლებლად სცნობს ასეთ ნაბიჯის სამხედრო მოსაზრებით გადადგმას. მაშასადამე, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ არც სამხედრო საქმე დავაბრკოლეთ.

„სახალხო საქმე“ ბრძნულად გვასწავლის: „რევოლიუციურმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს ისტორიული პროცესი და ხელი შეუწყოს მის მოახლოვებას და განვითარებას“, გაზეთი „ერთობა“ კი გვარჩევს ვიცადოთ, ვიდრე მოვლენა თავს წამოგვატყდება და უფროსები ნებას გვიბოძებენ“.

„სახ. საქმეს“ მესვეურნი გაიძახოდენ: ან ახლავე, ან არასოდეს, ან დღესვე განვახორციელოთ ჩვენი მოთხოვნილებები, ან სულ ხელს აგვაღებინებენ მასზეო. ჩვენ კი ვამბობდით: ჩვენი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას მოგვცემს განვითარება და დემოკრატიზაცია თვით რევოლიუციურ მოძრაობისა. ესაა მთავარი ძარღვი და არა ახლავე სეპარატიული მოთხოვნების წინა რიგში წამოყენება, რასაც შეუძლია ამ საერთო დემოკრატიზაციის პროცესისთვის ხელის შეშლა და არა ჩვენი მიზნის დაბრკოლება.

ახლა მკითხველმა თვით განსაჯოს ვისი შეხედულება გამართლდა. ვინ უკეთ გაითვალისწინა მომავალი პერსპექტივები და შეუწყო ხელი მის მოახლოვებას: ნაციონალისტებმა თუ ჩვენმა დემოკრატიულმა ტაქტიკამ.

დემოკრატიის თათბირი.

(პ. ღ. ს.)

(გაგრძელება).

სპირიდონოვის ქალი—ამბობს, რომ კოალიციურმა მთავრობამ არაფერი არ მისცა გლეხობას, მუშებს და ჯარს. ის მოუწოდებს გლეხობას ხმა არ მისცენ კოალიციას. საჭიროა საბოლოოთ გადასწყვიტოთ კავშირი ბურჟუაზიასთან. ძირს კოალიცია, გაუმარჯოს რევოლიუციას.

ჩერნოვი. რევოლიუციის შემდეგ გლეხობა დიდ გასაჭირში ჩავარდა, მაგრამ დიდი მოთმინება გამოიჩინა. რევოლიუციამ მოსპო ადგილობრივი მთავრობის ორგანოები და გლეხობა მემამულეებს პირისპირ დაუყენა. ორგანიზაციულათ მოწყობილმა მიწების კომიტეტებმა მხოლოდ შესძლეს მშვიდობიანობა დაეცვათ გლეხებში, მაგრამ შეძლებულმა კლასებმა არ დაუფასეს გლეხთა მოთმინება. ერთსა და იმავე დროს მათ ბრძოლა გამოუცხადეს, როგორც ჯარის ორგანიზაციებს, ისე მიწების კომიტეტებს. მაგრამ ერთი იკითხეთ, რა მოხდებოდა სოფლად, მიწების კომიტეტები რომ არ ყოფილიყო. რა მოხდება, ეს კომიტეტები რომ მოისპოს. შემდეგ ჩერნოვი კითხულობს რეზოლიუციას, რომლითაც გლეხობა უარყოფს კადეტებთან კოალიციას. სოფლათ წესიერების უზრუნველსაყოფათ საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც დამყარებული იქნება ერთ განსაზღვრულ პროგრამაზე და კონკრეტიულ ზომებზე, ერთ ზომათაგანი იქნება ის ზომა, რომელიც დღემდე არ განხორციელებულა და რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს სოფელი არევ დარევას. საჭიროა ამ ზომების მიღება და პასუხისმგებლობა იმ ორგანოს წინაშე, რომელიც უნდა შექნას დემოკრატიის თათბირმა, დემოკრატიულ ორგანიზაციების საბჭომ, რომელმაც პირდაპირი მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის კრიზისის საკითხის გადაწყვეტაში. უკეთუ დემოკრატია ვერ იშოვნის ასეთ ცენზიან ელემენტებს, მაშინ უნდა შესდგეს ერთგვარი სამინისტრო (ტაში).

მარტოვი დეპუტატთა საბჭოს უმცირესობის სახელით კითხულობს დეკლარაციას: „დეპუტატთა საბჭოებს, რომელიც თავის ორგანიზაციებში აერთებს მილიონ მშრომელ ხალხს და რევოლიუციონურ ხალხის პარტიის და მისი პოლიტიკურ მოქმედების მთავარი ძარღვია,—ცენტრი,—საბუთი ჰქონდა მოეთხოვა, რომ მის წარმომადგენლებს სრულიათ რუსეთის დემოკრატიულ თათბირზე, რომელიც მოწვეულია სრულიათ რუსეთის ცენტრალურ კომიტეტის მიერ, გამოეთქვა თავის აზრი მთავრობის შედგენის და მის მოქმედების შესახებ, როგორც რუსეთის დიდებულ რევოლიუციის ხელმძღვანელ ორგანოების. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ კამათის წესები თათბირზე, თანახმად კონსტრუქციისა, დამყარებულია კურიალურ სისტემაზე, რაიცა ხელს უშლის სავსებით განხილულ იქნას ძირითადი საკითხები, საბჭოების დელეგაცია სრულიად უარჰყოფს გამოიყვანოს თავის ორატორები, რომ ამით შეძლება მისცეს თათბირს, რომ დარჩენილ დროს მოუსმინოს დანარჩენ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს, რომლებსაც ეკუთვნით მთავრობის შედგენაში ხელმძღვანელი როლი. თავის მხრით დელეგაცია კმაყოფილდება მით, რომ აქვეყნებს შემდეგ დეკლარაციას: რევოლიუციის პირველ დღიდანვე დაარსებულმა დეპუტატთა საბჭოებმა ხალხის ნამდვილ შემოქმედებითი ძლიერი ძალით შექნეს თავისგან რევოლიუციონურ სახელმწიფოებრიობის ქსოვილი, რომელმაც ძველი რეჟიმის დაფხრეწილი სახელმწიფოებრიობის ქსოვილი შესცვალა. დიდებულ ხალხის მთელი რევოლიუციონური თვითმართველობა ხდებოდა და ხდება საბჭოების შემწეობით. საბჭოები ხალხის მართველობის იდეის პირდაპირი მატარებელია, ის არის ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ფაქტიურათ ადგილობრივ თავის ხელში ექნება სახელმწიფოებრივი ძალა უფლება. თავის როლს საბჭოები შეასრულებენ იმ ორგანოებთან იდეურ შეთანხმებით, რომლებიც შექნა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ განსაზღვრულ რევოლიუციონურ ფუნქციისთვის—ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ჯარის ორგანიზაციებთან, მიწების, ფაბრიკა-ქარხნების და სასურსათო კომიტეტებთან და სხვ., აგრეთვე წინათ შემდგარ ეკონომიურ და კლასობრივ ორგანიზაციებთან, რომლებსაც რევოლიუციამ ფართე სამოქმედო გზა გაუხსნა“. შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციების წყალობით რუსეთმა შეინახა თავისი შინაგანი ორგანიული მთლიანობა,—ცენტრის, ქალაქების, განაპირა ქვეყნების და ფრონტის შორის. ამ დემოკრატიულ ორგანიზაციების წყალობით ქვეყანამ შესძლო ერთი რევოლიუციონური ფრონტი დაეპირდაპირებინა კონტრ-რევოლიუციონურ უზურპატორებისთვის, რომლებსაც უნდოდათ ესარგებლათ ქვეყნის უბედურებით და რესპუბლიკა მოეკლათ. დემოკრატიულ ორგანიზაციების წყალობით ქვეყანა მუდამ შესძლებს ძირს დასცეს ხალხის მიერ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლების წინააღმდეგ ყოველი გამოსვლა.

იმ დროს, როცა ეს ორგანიზაციები ადგილობრივ ვითარდებოდა და მაგრდებოდა, ცენტრში მოქმედებდა შეძლებულ კლასებისაგან შემდგარი მთავრობა. ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრების მიმართულების და ცენტრალურ მთავრობის მოქმედების ასეთმა შეუთანხმებლობამ წარმოშვა ის, რომ დემოკრატიის შემოქმედებითი მუშაობის დიდმა ნაწილმა უნაყოფოთ ჩაიარა. ცენზიან ჯგუფებს შეეძლოთ მიეცათ ქვეყნის საუბედუროთ შეეჩერებინათ უსაჭიროეს ეკონომიურ, ფინანსიურ და სოციალურ რეფორმების ცხოვრებაში გატარების საქმე. მათ საბოტაჟი მოახდინეს დემოკრატიის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მიმართული იყო საჩქარო ზავის ჩამოგდებისკენ, დემოკრატიისათვის სასარგებლო პირობებით. ერთგულ წინააღმდეგობას უწევდენ ჯარის რეორგანიზაციას, და ამით ნიადაგს უმზადებდენ ხალხის უკმაყოფილებას და ხელს უწყობდენ იმ საშიშ მდგომარეობას, რომლის წინაშე სდგას ქვეყანა. რევოლიუცია გვეუბნება, რომ ბურჟუაზიულ კლასობრივ პარტიებთან კოალიცია ხელ ფეხს უკრავდა ცენტრალურ მთავრობას შემოქმედებით მუშაობაში, აშორებდა ხალხის ფართო მასას, ნდობას უკარგავდა ამ ფართო მასაში, რაც სტიქიურ მოძრაობას ნიადაგს უმზადებდა. მთავრობა წინააღმდეგობას უწევდა თავის პოლიტიკით ხალხის მასას და რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანოებს, თანდათან თავს ახწევდა დემოკრატიის კანტროლს, უპასუხისმგებლო ხდებოდა და ამით ფაქტიურათ კაპიტალისტურ კლასების და მისი დამქაშების დამოკიდებულების ქვეშ ვარდებოდა, იმ კლასების, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ დემოკრატიულ რევოლიუციის შემდეგი განვითარების შეჩერებაში, რაიცა აშკარათ გამოიხატა დემოკრატიულ რუსეთში კორნილოვის აჯანყების დღეებში, როცა ცენტრალურმა მთავრობამ თვით ვერ შესძლო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგობის გაწევა და ვერ გამოიყვანა ხალხი საბრძოლველათ. დეკლარაციის რეზოლიუციური ნაწილი ამბობს „მივმართავთ რა ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც აქ ამ [illegible]ზე შეკრებილან, დეპუტატთა საბჭოების დელეგაცია მოუწოდებს გადაჭრით უარჰყონ ცენზიან ელემენტებთან ყოველივე შეთანხმება, [illegible] პასუხისმგებლო მთავრობა, ყოველივე [illegible] ჰქმნარიტ რევოლიუციონურ მთავრობის შესადგენათ, რომელსაც შეეძლება [illegible] საჭიროებათა განხორციელება და დამფუძნებელ კრებამდე პასუხისმგებელი იქნება მშრომელ მასის წარმომადგენლების წინაშე. მხოლოდ იმ მთავრობას შეუძლია განამტკიცოს რევოლიუცია და დაიხსნას ქვეყანა განსაცდელისაგან, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნება და თავისუფალი დემოკრატიის მტრების ნებასურვილისაგან. მხოლოდ ქალაქის და სოფლის მთელ დემოკრატიის და პროლეტარიატის და ჯარის მჭიდრო კავშირს შეუძლია კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში განახორციელოს ის დიდი მიზნები, რომლის წინ ისტორიამ დააყენა რუსეთი.

მარტოვის შემდეგ დეპუტატთა საბჭოების უმცირესობიდან გამოდის დანი.

დანი აქვეყნებს რეზოლიუციას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეხლანდელმა მთავრობამ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. რაკი ის დემოკრატიასთან ვერ იყო მჭიდროთ შეკავშირებული, დიდ რყევას განიცდიდა. დეპუტატთა საბჭოებს კარგათ ესმით თუ რა დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი რევოლიუციას ამ საშინელ ომის და ქვეყნის ყველა საწარმოვო ძალთა დანგრევის დროს. საბჭოები არ ცდილობდენ მთავრობის ხელში ჩაგდებას, ხოლო მუდამ ცდილობდენ მჭიდროთ შეკავშირებით მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დემოკრატიული ძალები მუშაობაში ჩაებათ ყველა ის ცენზიანი კლასების ელემენტები, რომლებიც განვითარების ამ საფეხურზე წინააღმდეგი არ არიან. საბჭოები ებრძოდენ დემოკრატიის უკიდურეს ელემენტებს მთავრობის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ, რადგან ხედავდენ რომ პროლეტარიატს ამით დიდი საფრთხე მოელოდა და რევოლიუცია დაიღუპებოდა. იგინი აგრეთვე ებრძოდენ შეძლებულ კლასთა იმ ჯგუფს, რომელიც ასეთ საბედისწერო დროს სცდილობდა მთავრობის მთელი საქმეები დემოკრატიისთვის მოეხვია თავზე, მთელი პასუხის მგებელი ის გამოეყვანა ომით გამოწვეულ მდგომარეობის, რომ ამით მისთვის ნდობა დაეკარგა ხალხის ფართე მასაში და კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველ ეყო. ჩვენ ეხლა საჭიროთ ვსცნობთ დავუძახოთ მთავრობაში იმ ცენზიან ელემენტებს, რომლებიც რევოლიუციონური გზით წავლენ, თავიანთი სახელი არ შეუბღალავთ კორნილოვის აჯანყებაში პირდაპირ თუ არა პირდაპირ მონაწილეობით, საჭიროთ ვცნობთ დავუძახოთ მათ, რომ მართლა ენერგიულათ გაატარონ ცხოვრებაში ის პლატფორმა, რომელიც გაერთიანებულმა დემოკრატიამ შეიმუშავა მოსკოვის თათბირზე. ეს პლატფორმა, რომელშიაც აღნიშნულია მხოლოდ დემოკრატიის მოთხოვნები, ცხოვრებაში აუცილებლათ უნდა გატარდეს. რომ მთავრობის შემადგენლობა სასურველი იყოს, დემოკრატიამ თვით უნდა იკისროს მოლაპარაკების გამართვა. საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ჩქარა დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებისაკენ მიმართული ჯარის რეორგანიზაციისაკენ დემოკრატიულ საფუძველზე, წარმოების და ტრანსპორტის მოწესრიგებისკენ და დამფუძნებელ კრების დროზე მოწვევისაკენ—აი ის პროგრამა, რომელიც ახალმა მთავრობამ უნდა გაატაროს ცხოვრებაში. დემოკრატიამ თავისგან უნდა გამოყოს ორგანო, სადაც შევლენ მსგავსი დემოკრატიული ძალები და რომლის წინაშეც პასუხის მგებელი იქნება მთავრობა. ამ წარმომადგენლობითი დაწესებულებებში შევლენ ცენზიან ელემენტების დელეგატები და უკეთუ იგინი ამაზე უარს იტყვიან, მაშინ მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს, რომ მათ არ უნდათ თავიანთი ინტერესები რევოლიუციის და ქვეყნის დაცვის საქმეს დაუმორჩილონ და მაშინ დემოკრატია, რომელმაც თავის ზურგით გაიტანა რევოლიუცია, აიღებს ამ მძიმე ტვირთსაც, რომელიც მას ისტორიამ არგუნა. (ტაში).

შემდეგ დეკლარაციებს კითხულობენ სხვადასხვა ჯგუფების რევოლიუციონური დემოკრატიის წარმომადგენლნი: ზნამენსკი, სტეკლოვი, კამენევი, ჩერნოვი, წერეთელი და ტროცკი. კრებას ბოლოს ხმაურობა და ყვირილი ასტყდება. თავმჯდომარე ჩხეიძე იმუქრება, რომ კრების დახურავს, დასტოვებს თავმჯდომარეობას და გარეთ გაიყვანს, ვინც ხმაურობს. ღამის სამ საათზე ჩხეიძე კრებას ხურავს.

დანის შემდეგ კრების გახსნისას სიტყვები წარმოსთქვეს პარტიის წარმომადგენლებმა. პირველათ ილაპარაკა ზნამენსკიმ სახალხო სოციალისტების სახელით. ის აცხადებს, რომ მომხრეა კოალიციურ სამინისტროს, რადგან წარმოუდგენელია რუსეთში სოციალისტური სახელმწიფო, სოციალისტური სამინისტრო, როცა გარშემო არაფერი მაგის მსგავსი არ არის. ქვეყნის ხსნა შეიძლება მხოლოდ საერთო ძალით.

მარტოვი. ყველა შეძლებულ კლასთა მთავრობისგან ჩამოშორებას იმ წესწყობილებაში, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე, ცუდი შედეგები მოყვება. რომ დემოკრატიას სხვა გზა ჰქონოდა, ის ამაზე უარს იტყოდა, მაგრამ სხვა გზა არა აქვს. კადეტების პარტია, რომელიც რუსეთის კულტურულ ბურჟუაზიის ყვავილია, აშკარათ გვაჩვენებს, რომ მას რევოლიუციონურ დემოკრატიასთან სიარული არ შეუძლია, რაც კორნილოვის შეთქმულობის შემდეგ გამოაშკარავდა; რომ კადეტებთან კოალიცია შეუძლებელი შეიქნა, ეხლა ცხადია მთელი დემოკრატიისთვის. აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: „ძირს კოალიცია“.

19 სექტემბერი.

კრება გაიხსნა დღის 3 საათზე.

ჩხეიძე მოხსენებას აკეთებს, რომ პრეზიდიუმს განზრახვა აქვს ასეთი ფორმულიროვკა გაუკეთოს საკითხს: პირველი, კოალიცია თუ არა ცენზიან ელემენტებთან, მეორე—კოალიცია კადეტებთან, მესამე—კოალიცია საქმიან პარტიებთან. 660 ხმით კრებამ დაადგინა მოახდინოს სახელობითი ხმის მიცემა, რომელიც იწყება დღის 4 საათზე.

წერეთელი. როცა ჩვენ კოალიციას კრიტიკას ვუკეთებთ, ამავე დროს ჩვენ რევოლიუციას ვაკრიტიკებთ. ამბობენ თითქო კოალიციამ არაფერი არ მოგვცა, მე ვამტკიცებ, რომ მან მოგვცა თავისუფლება, რუსეთის რესპუბლიკა, ქალაქების და ერობის დემოკრატიზაცია. ჩვენი საარჩევნო უფლება საჭიროთ სცნობს კოალიციონურ მთავრობის შედგენას. თქვენი დამოკიდებულება სოციალისტ მინისტრებთან დროებით მთავრობაში იმას ამტკიცებს, რომ თქვენ ასეთივე დამოკიდებულება გექნებათ სოციალისტურ სამინისტროსთან და თუ იმან თქვენ არაფერი არ მოგცათ, თქვენ თვითონ შეგეზიზღებათ ის. შემდეგ ის ეხება ტროცკის სიტყვებს, რომ ბოლშევიკებს არ უნდათ მთავრობაში შევიდენ. ამბობს: „მე მივესალმებოდი იმ პარტიას, რომელიც ხელში ჩაიგდებდა მთავრობას და სავსებით განახორციელებდა იმ პროგრამას, რომელიც მე მიმაჩნია მისაღებათ. ბოლშევიკებს კი ეს არ უნდათ. იგინი მოითხოვენ, რომ მთავრობა დეპუტატთა საბჭოებმა ჩაიგდონ ხელში“. რევოლიუციის მიზნების შესახებ ორატორი ამბობს, რომ ის უნდა განახორციელოს მთელმა ხალხმა. უნდა დავიცვათ საბჭოების პროგრამა, რომელსაც ის ატარებს ექსი თვის განმავლობაში. შემდეგ ის პასუხს აძლევს იმათ ვინც კერენსკის წინააღმდეგ გამოილაშქრეს და მას ბრალს სდებენ, და ამბობს, რომ ბონაპარტიზმი ბოლშევიკების ჭიშკრიდან შემოიპრება. წერეთელი ამტკიცებს, რომ საბჭოების პოლიტიკა თავის დღეში სექტანტური არ იყო, არამედ ორგანიზაციულათ მოწყობილ დემოკრატიის. მას სწამდა კოალიციის პრინციპი და ამიტომაც ის მუდამ ამარცხებდა. კოალიციის უარყოფა საბჭოების უარყოფაა—ათავებს წერეთელი—კოალიცია ეს ჩვენი რევოლიუციაა. შემდეგ „ედინსტვოს“ წარმომადგენელი კითხულობს პლეხანოვის სიტყვას და კრებაც იხურება.

კრება განახლდა 10 საათზე. გამოაცხადეს კენჭის ყრის შედეგები. შეტანილ შესწორებას ხმა მისცა 797 და წინააღმდეგ 134, 146 თავი შეიკავა. (შესწორების ტექსტი გამოტოვებულია. დეპეშათა სააგენტომ მოითხოვა განმეორება) შემდეგ თათბირმა კენჭი უყარა მეორე შესწორებას სადაც ნათქვამია: „კოალიციის გარეთ რჩება კადეტების პარტია“; შესწორების მომხრეა 595, წინააღმდეგი 483, 72 თავი შეიკავა. შემდეგ კენჭი უყარეს მთელ ფორმულას და მომხრეა 183 წინააღმდეგი 813. ამ გვარათ მთელი ფორმულა უარჰყვეს. კრება 40 წუთით სწყდება.

კრების განახლებისას წერეთელმა გამოაქვეყნა პრეზიდიუმის რეზოლიუცია. პრეზიდიუმის სახელით წერეთელმა განაცხადა, რომ მთავრობის შედგენის საკითხის შესახებ კენჭის ყრას პრეზიდიუმი სცნობს იმათ, რომ დემოკრატია გაერთიანებული არ არის. ამიტომ ის უნდა ჩაითვალოს დემოკრატიის შინაურ გაუწყობილების გამომხატველათ, რომელიც მოითხოვს დემოკრატიის გასაერთიანებლათ ურთიერთ დათმობას. ამიტომ პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს 20 სექტემბერს დანიშნოს თათბირი სმოლნი ინსტიტუტში დემოკრატიის შინაური შესათანხმებლათ, ამ თათბირში მონაწილეობა უნდა მიიღოს პრეზიდიუმთან ერთად თითო ჯგუფიდან თითო კაცმა, სამმა წარმომადგენელმა პოლიტიკურ მიმდინარეობის, და აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტების წარმომადგენლებმა. თუ იქ შეთანხმება მოხდა, მას გადაიტანენ ფრაქციაში და პრეზიდიუმში. მე დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიის შინაური შეთანხმება შესდგება, ამბობს წერეთელი და კითხულობს შემდეგ რეზოლიუციას: სრულიად რუსეთის დემოკრატიის თათბირმა დაადგინა, რომ ის დაიშლება მანამდი, სანამ არ შეიმუშავებს მთავრობის შედგენისდა მოქმედების პირობებს დემოკრატიისათვის მისაღებ ფორმებში“. რეზოლიუციას კენჭი უყარეს და ერთხმათ მიიღეს დიდი ტაშის ცემით. კრება დაიხურა. შემდეგი კრება 20 სექტემბერს.

დეპეშები.

(პ. ღ. ს.)

22 სექტემბერი.

დიდი ცეცხლი ბაქოში.

ბაქო. შავ ქალაქში ელექტრონის მავთულების გაწყვეტის გამო გაჩნდა ცეცხლი, რომელიც რეზერვუარებს მოედო. იწვის მილიონი ფუთი ნავთი. ცეცხლი ჯერ ვერ ჩააქრეს.

არეულობა.

ტაშკენტი. ტაშკენტში არეულობის ჩასაქრობათ გაიგზავნა ჯარები გენერალ კოროვიჩენკოს მთავარ-სარდლობით, რომელსაც უბრძანა: არავითარი მოლაპარაკება აჯანყებულებთან არ გამართოს და მიმართოს ენერგიულ ზომებს.

მოსალოდნელი გაფიცვა.

პეტროგრადი. დროებით მთავრობამ დაადგინა: მიენდოს გზათა მინისტრს საჩქაროთ შეადგინოს გეგმა მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების, სურსათით უზრუნველ ყოფის და რკინის გზის ტარიფის გადასინჯვის შესახებ, რომ გამონახულ იქნას წყარო, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოსამსახურეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამასთანავე მთავრობამ საჭიროთ სცნო მიაქციოს მუშა-მოსამსახურეთა ყურადღება სახელმწიფო ხაზინის გაჭირვებულ მდგომარეობაზე და იმ უბედურობაზე, რომელიც მოელის ჯარს და ქალაქების მცხოვრებთ რკინის გზის მოძრაობის შეჩერებით.

დემოკრატიის თათბირი.

პეტროგრადი. 20 სექტემბერი. დღეს სმოლნი ინსტიტუტში დემოკრატიის თათბირის პრეზიდიუმის თათბირია. თათბირზე არიან ფრაქციებისა და ჯგუფების წარმომადგენლები. სამ საათამდე შეთანხმება არ მოხდა. თათბირი მთელი დღე გაგრძელდა. ნაშუადღევის 6 საათზე მოვიდა კერენსკი და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. საღამოს 7 საათზე კრება კიდევ არ იყო დასრულებული.

[illegible] არჩევნები.

ჰელსინგფორსი. შვედელთა პარტიამ მიიღო 6 300 ხმა, გაერთიანებულმა ბურჟუაზიულმა ბლოკმა 30,706, ს.-დემოკრატებმა 30,100, აგრარიებმა 2,621, სოფლის მუშებმა 159, რადგან სოფლის მუშები ბურჟუაზიულ პარტიების მომხრე არიან, მათი ხმა უდრის 40,000 წინააღმდეგ ს.-დემოკრატების 31,000 ხმისა.

შაქრის მონოპოლია.

პეტროგრადი. დროებითი მთავრობის განკარგულებით შემოღებულ იქნა შაქრის მონოპოლია. ფხვნილი შაქარი ეღირება ფუთი 37 მან. 20 კაპ. 57 მან. 20 კაპ., რაფინადი (თავი შაქარი)—40 მან. 60 მან. ფუთი.

ომის დეპეშები.

(პ. ღ. ს.)

ლონდონი. ბრიტანეთის მთავარ ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. ჰაეროპლანებიდან 17 სექტემბერს ჩამოყრილი ყუმბარებით ინგლისელმა მფრინავებმა დააზიანეს ანგარი გონტროლეს და მტრის სამი ჰაეროპლანი.

პარიზი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდინარე ენზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ლაშომე და ბეზანეს ტყეებ შუა გერმანელებმა იერიში მოიტანეს და ჩვენს თხრილებში შემოიჭრენ, მაგრამ სასტიკ ბრძოლის შემდეგ უკუაქციეთ და 15 კაცი ტყვეთ ჩავიგდეთ.

პეტროგრადი. ოფიციალური ცნობა. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინიის ფრონტებზე სროლაა.

კავკასიის ფრონტზე საყურადღებო არა მომხდარა.

ახალი ამბები

ს.-დ. საოლქო კომიტეტის ბიურო ზოგიერთ ორგანიზაციათა შეკითხვის გამო აცხადებს, რომ ყველა რაიონულ ორგანიზაციებმ
საწევრო გადასახადი უნდა შეიტანონ ადგი
ლობრივ კომიტეტებში. ადგილობრივი კომი
ტეტები კი საერთო წევრთა რიცხვის რაოდე
ნობის მიხედვით იხდიან ფულს საოლქო კო
მიტეტების სასარგებლოთ, თანახმად პარტი
ული წესდებისა.

◆ **რკინ. გზის მოსამსახურეთა გაფიცვ**
გამო. რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრ
ლურ კომიტეტის მიერ 23 სექტემბერს ეკ
ნომიურ ნიადაგზე გამოცხადებულ გაფიცვ
გამო ამიერ კავკასიის რკინის გზათა მოსამსა
ხურეების ცენტრალური აღმასრულებელი კო
მიტეტი, კავკასიის რევოლიუციონური კომი
ტეტი, კავკასიის მუშათა, ჯარის კაცთა დ
გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის აღ
მასრულებელი კომიტეტი, რ. ს.-დ. მ. პარ
საოლქო კომიტეტი და სოციალისტ რე
ვოლიუციონერთა საოლქო კომიტეტი რე
ვოლიუციონური კავკასიის სახელით მოუ
წოდებენ რკინის გზის მოსამსახურეებს არ
შესწყვიტონ მუშაობა ამ მძიმე განსაცდელი
დროს. ეს იქნებოდა გამოუწვრთნელი, და
ღუპველი ნაბიჯი, რომელიც მოუტანდა ხალხ
შიმშილს, აწიოკებას, ძარცვას ჩაჰკლავდა რე
ვოლიუციონურ ჯარის ბრძოლის უნარს, გა
მოიწვევდა მშრომელთა შორის სისხლი
ღვრას. თქვენი გაფიცვის პირველი დღე იქნე
ბოდა რევოლიუციის უკანასკნელი დღიო—
ნათქვამია მოწოდებაში.

◆ **ბოროტმოქმედების აღმოჩენა.** საგანგე
ბო კომისიამ მირზოევის ქარხანაში, რომ
გამგე ვ. ლ. ც. ორჯონიკიძე ყოფილა, აღმო
ნა 22 ბოჭკა საინტენდანტო ქონი და დი
ლი ზეთი. გამოირკვა, რომ ამ ქარხანაში უკ
გაყიდულა 10 ათასი ფუთი საინტენდანტო
საქონელი. აღმოაჩინეს აგრეთვე ყალბი დო
კუმენტები. ბატონი ორჯონიკიძე საკუთა
მანქანით ამზადებდა თურმე ასეთ დოკუმე
ტებს და თავის მოსამსახურეებს ანთავისუფ
ლებდა სამხედრო ბეგარისაგან. ორჯონიკი
დაატუსაღეს. საქმე სამხედრო პროკურორ
გადაეცა განსახილველათ. აღმოჩნდა აგრეთვე
რომ მირზოევის ქარხანა ღებულობდა დი
ძალ საინტენდანტო საქონელს, (ქონსა დ
სხვა სანოვაგეს) კავკასიის ჯარის და სამხე
რო ოლქის შტაბთან არსებულ სასურსათ
დუქნიდან. დააპატიმრეს ამ დუქნის გამ
იაკომოვიჩ.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრ**
ტყიბულში გაგზავნა საგანგებო კომისია შრ
მის პირობათა გამოსარკვევათ.

◆ **მოსალოდნელი გაფიცვა.** აფთიაქებ
მოსამსახურეების მოთხოვნათა განსახილ
ლათ შესდგა მომრიგებელი კამერა ექიმ
მახვილაძის თავმჯდომარეობით. მომრიგებ
კამერამ მოსამსახურეთა მოთხოვნილებები
ნონიერათ აღიარა. მიუხედავათ ამისა ბ
აფთიაქების წარმომადგენელნი არ დასთან
დენ კამერის გადაწყვეტილებას და კატეგ
რიული უარი განაცხადეს მოთხოვნილება
დაკმაყოფილებაზე. აფთიაქებში მოსამსახურ
თა პროფესიონალური კავშირის გამგეობა ა
ხადებს, რომ ამის შემდეგ მოსამსახურე
დარჩენიათ მიმართონ მხოლოდ უკანასკნ
ზომას—გაფიცვას.

უკანასკნელი ფოსტა

20 სექტემბერს დროებით მთავრობამ დახურულ კრებაზე გამოიტანა საყურადღებო დადგენილებანი, რომელთაც კავშირი აქვს დემოკრატიის თათბირზე კოალიციის შესახებ მომხდარ კენჭის ყრასთან.

— ნიკოლოზ რომანოვი ტობოლსკიდან აბალაკის მონასტერში გადაჰყავთ, რომელიც ქალაქზე მოშორებულია 25 ვერსით.

— ტაშკენტიდან ცნობები ცოტა მიდის პეტროგრადში, ამიტომ ფიქრობენ, რომ ტელეგრაფი რევოლუციონური ჯარის ხელში უნდა იყოს.

— დემოკრატიის თათბირზე კოალიციის საკითხის შესახებ მომხდარ კენჭის ყრის შედეგს ითვალისწინებენ რა გაზეთები, სწერენ: „უწყებანი“ ფიქრობს, რომ ახლო ხანში ქვეყანისა და რევოლუციის ბედს გადასწყვეტს ორ ფლანგს შორის ბრძოლა, სხვათან დამოუკიდებლათ. საბჭოს ბელადებმა მიზნათ უნდა დაისახონ, რათა კონფლიქტმა შეიარაღებული შეტაკების ხასიათი არ მიიღოს, რომ სამოქალაქო ომი არ მოხდეს. „რაბოჩაია გაზეტა“ აღნიშნავს, რომ თათბირზე გამოაშკარავდა ღრმა უთანხმოება მუშათა და სოფლის დემოკრატიას შორის. დემოკრატიული ფრონტის გარღვევის საშიშროება, მუშათა კლასის განცალკევება, აი რა ხდება ამ ჟამად. კენჭის ყრამ თვალები უნდა აგვიხილოს.

◆ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა დაადგინა მუშათა კომისიაში გასარჩევად წამოყენებული კითხვები წინასწარ განხილულ უნდა იქნას ადგილობრივ მომრიგებელ კამერების მიერ. საორგანიზაციო კომისიას დაევალა გამოიმუშაოს მუშათა კომისიისათვის ინსტრუქცია, რომელსაც დაამტკიცებს ცენტრის წევრთა საზოგადო კრება.

◆ **ლექცია.** დღეს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ“-ში ნათაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რევოლუციის ისტორია“.

◆ **პ. საყვარელიძის მოხსენება.** ხვალ ქართულ კლუბის დარბაზში (სასახლის ქ. № 5) პ. დ. საყვარელიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საპარტიათაშორისო და საერთაშორისო შეთანხმება“. ბილეთის ფასი 25 კაპ. დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ **წარმოდგენა.** დღეს მე-5 უბნის ქართველ ქალთა საზოგადოების სასარგებლოთ, „თავისუფალ თეატრში“ (ხელოსანთა კლუბი) წარმოდგენილ იქნება ოპერეტა „არშინ მალ ალან“.

კრებები და მიტინგები

დღეს, დილის 9 საათზე, მესამე გიმნაზიის შენობაში (ველიამინოვის ქ.) დანიშნულია თფ. დურგალთა კავშირის წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) ლვინიაშვილის საქმე; 2) გამგეობის წევრთა არჩევნები; 3) ბინის ქირის საკითხ; 4) ხელოსნების ხელფასის დაწესება; 5) შემნახველ-გამსესხებელი კასის გახსნა; 6) კოოპერატივის გახსნა.

— ხვალ, დილის 11 ს. ავლაბრის თეატრში მოხდება მესამე რაიონის პარტიული წევრთა საზოგადო კრება. დღ. წესრიგი: 1) სასურსათო საკითხი; 2) კოლექტივის მოხსენება; 3) არჩევნები.

— ხვალ, დილის 12 ს., მიხეილის პრ. „კინო პალასი“-ს გვერდით „ფინჯანი ჩაი“-ს ბინაზე დანიშნულია ქალთა ინტერნაციონალურ კავშირის წევრთა კრება.

— სამშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 5 საათ., ლითონზე მომუშავეთა კავშირის ბინაზე დანიშნულია დელეგატთა კრების რაიონების რწმუნებულთა კრება.

დემოკრატიულ თათბირის პარტიული შემადგენლობა

დემოკრატიული თათბირის პარტიული შემადგენლობა ასეთია: ს.-რევოლუციონერი—293 კაცი, ამათში: 191 კაცს არ განუცხადებია, რომელ ფრაქციას ეკუთვნის, 28—ობორონცი, 58—ინტერნაციონალისტი, 16—უკრაინელი; ს.-დემოკრატი—274, ამათში: მენშევიკი—99, ობორონცი—25, ინტერნაციონალისტი—36, ბოლშევიკი—89, უკრაინის ს.-დ.—10, „ედინსტვო“-ს ჯგუფის—8, ბუნდი—6, ს.-დემოკრატი ფედერალისტი—1, ბელორუსის ჯგუფის—1; ტრუდოვიკი და სახალხო სოციალისტი—27; ხალხის თავისუფლების პარტიის—2; მუსულმანთა სოციალისტი—4; გაერთ. ებრ. სოც. პარტიის—4; უპარტიო სოც.—7; უკრაინელთა ფედერალისტი—2; ყირღიზთა სახალხო პარტიის—1; ებრაელთა სახალხო პარტიის—1; სინდიკალისტი—2; ნაციონალ-დემოკრატი—1; ბელორუსის სოციალ. გრომადა—1; ბელორუსის ავტონომისტების—1; დაშნაკცუთუნი—1 და უპარტიო—66.

პროვინციის ქრონიკა.

ოზურგეთი. საავრონომიო თათბირი ოზურგეთში გაიხსნება არა 20 სექტემბერს, როგორც ამის წინეთ იყო გამოცხადებული, არამედ 24 სექტემბერს.

თიანეთი. ბოჭორმის ტყეში იპოვნეს მოკლული დეზერტირი. არტაანში მოჰკლეს ფშაველი დეზერტირი. თიანეთის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: გამორკვევა-აღწერამდე მაზრიდან ყოველ გვარი სურსათის გატანა აკრძალულია. აგრეთვე აკრძალულია არაყის და ღვინის ხდა. ახმეტაში გადააყენეს კოოპერატივის ძველი გამგეობა და აირჩიეს ახალი.

— მაზრაში დამფ. კრების საარჩევნო სიის შედგენა, გარდა თუშეთის ნაწილისა, გათავდა. შესდგა სასოფლო საარჩევნო კომისიები.

— 18 სექტემბერს, გაიმართა თიანეთის სამ. კომიტეტის კრება. დაადგინეს ენერგიული ზომები იქნას დამფ. კრების მზადებისათვის და ძალთა მობილიზაციისათვის მიღებული. გაწვეულ იქნას პროპაგანდა-აგიტაცია საარჩევნო ფონდის დასაარსებლად. სარევიზ. კომიტეტის მოწოდებაზე დაადგინეს მოგროვებულ იქნას ერთ დროული დახმარება სარ. კომ. ორგანოსათვის. იქვე შეგროვდა 50 მანეთამდე.

გორი. 19 სექტემბერს, მოხდა იმ კომიტეტის წევრთა სხდომა, რომელსაც გორის საშუალო სასწავლებელთა ნაციონალიზაციის საკითხი აქვს გასარკვევი. ჯერ-ჯერობით შემუშავებულ იქნა სავაჟო გიმნაზიის ნაციონალიზაციის გეგმა. ნაციონალიზაცია (სრული) გატარდება გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ ორ კლასებში. შემუშავებულ იქნა სრული გეგმა სწავლებისა. პირველსა და მეორე კლასებში რუსული ისტორიის მაგიერ შემოღებული იქნება ქართული ისტორიის სწავლება. მესამე კლასიდან სწავლება სწარმოებს ძველი წესით გარდა იმისა, რომ ლათინურისა და ზოგიერთ სხვა საგანთა გაკვეთილების რიცხვი შემცირდება და იმათ მაგივრად შემოღებულ იქნა სწავლება ნაციონალური საგნებისა.

მომავალი უმუშევრობა და პროფ. კავშირები

ჯერ არ ყოფილა ისეთი მწუხარება და უბედურება ისტორიაში, რომელიც მოაქვს თან დღევანდელ ომს.

ძნელია გამოანგარიშება ყოველის მხრით იმ ზარალის და უბედურების, რომელიც მიაყენა ამ ომმა ხალხს, მაგრამ უფრო ძნელია წარმოდგენა იმ გაჭირვების და უბედურების, რომლის გადატანა მოელის კაცობრიობას.

ერთი უსაშინლესი უბედურება და კრიტიკული მდგომარეობა იქნება, განსაკუთრებით, მუშათა კლასისათვის, მომავალი უმუშევრობა. უკვე ეხლა, ხან ერთ ქალაქში, ხან მეორეში, ჩერდება ქარხნებისა და ფაბრიკების მუშაობა. უკვე საგრძნობი გახდა რუსეთის მუშებში ერთი უბედურებათაგანი—შიმშილი.

შეჩერდა მუშაობა დონის „ბასეინში“ სამოცდა შვიდ საწარმოო ადგილას ნახშირის მაღაროებისა; ევაკუაციას ახდენენ მრავალი ქარხნებისას ქალაქ პეტროგრადიდან და უკვე დღეს არ მუშაობენ რამოდენიმე ათეული ქარხნები იმავე პეტროგრადში. მცირდება წარმოება ცენტრალურ საწარმოო რაიონებში, მცირდება ურალში, რეველში და სხვაგან.

კლასთა ბრძოლამ ეკონომიურ ნიადაგზე დღიდან რევოლუციის დაწყებისა მიიღო მწვავე ხასიათი, მწარმოებელ-კაპიტალისტები რევოლუციის პირველ დასაწყისში დაიბნენ, მაგრამ მათ მოაგვიანებით მაინც ორგანიზაციული ძალით ჰკრეს მაგარი მუჯლუგუნი რევოლუციის მოთავეს—მუშათა კლასს.

ფარული ფორმის ლოკაუტით მწარმოებელნი ცდილობენ წაართვან მუშათა კლასს ბრძოლით მოპოვებული, მაგრამ არა მარტო მწარმოებლების ბოროტი ნება-სურვილი თამაშობს აქ მთავარ როლს, არამედ ხშირად ესა თუ ის საწარმოო იძულებული ხდება დაიკეტოს ნედლი მასალის და სათბობის უქონლობის გამოც. ძნელია ბრძოლა ასეთ მოვლენასთან დღეს, მაგრამ რა იქნება მაშინ, როდესაც ამ უბედურების შემქნელ ომს ბოლო მოეღება? თუ ახლა არის რუსეთში ასი ათასობით უმუშევარი, რა იქნება მაშინ როდესაც მილიონობით ჩვენი ამხანაგები დაბრუნდებიან ფრონტიდან, როდესაც დასახიჩრებულ ამხანაგებს კიდევ მიემატება ახალი რაზმი მშრომელთა.

მართლაც საჭიროა გენიალური სახელმწიფო გონება, საჭიროა შემოქმედი ძალა მთელი საზოგადოებისა, რომ გამოსავალი იპოვო ასეთი მდგომარეობიდან. მხოლოდ მწყობრი და ერთსულოვანი მუშაობა სახელმწიფოსი და საზოგადოების თუ შესძლებს ამ სოციალური ბოროტების შესუსტებას. შრომის მინისტრი საჩქაროთ ღებულობს ზომებს ამ წყეული კითხვის გადასაჭრელ მოსაგვარებლად; დგება კითხვა ორგანიზაციულ საზოგადოებრივ მუშაობისა, მუშავდება კანონ პროექტი შრომის ბირჟების დაზღვევა უმუშევრობისაგან, მაგრამ ყველა ეს შეიძლება იყოს განხორციელებული და გატარებული ცხოვრებაში მაშინ, თუ ყველა ადგილებში იქნება შემძლე და მცოდნე ძალა, რომ გაატაროს ეს კანონი ცხოვრებაში. ვინ არის დაინტერესებული შრომის ბირჟით, დაზღვევით უმუშევრობისაგან, თუ არ მუშათა კლასი. ვინ გაატარებს ამ კანონებს ცხოვრებაში თუ არა ჩვენ, მუშები. საუკეთესო სამსახური შეუძლია გაგვიწიოს დაზღვევა კანონს ავადმყოფობის დროს. ეს კანონი იყო გამოცემული ჯერ კიდევ 1912 წელს, მაგრამ, საუბედუროთ ჩვენდა, ეს კანონი ყველგან არ არის ცხოვრებაში გატარებული, განსაკუთრებით კი ჩვენში. მწარმოებლებისათვის ეს კანონი არ არის ხელსაყრელი, რომ ცხოვრებაში გაატარონ და მით უმეტეს, ისინი რათ აძლებენ ინიციატივას მის ცხოვრებაში გასატარებლათ, როდესაც მათ ჯიბიდან ზედმეტ ასი და ათას თუმნობით დასჭირდებათ ამოღება, ჩვენ კი ჩვენი უცოდინარობით თუ გულგრილობით, თავი არ შევიწუხეთ ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ამხანაგო მუშებო! არასოდეს ისე საჭირო და მნიშვნელოვანი არ ყოფილა ჩვენში პროფესიონალური კავშირები, როგორც დღეს. დღევანდელ ხანაში პროფეს. კავშირების როლი დიდია. უმუშევრობის ყოველგვარი უბედურება და სიმწვავე შეიძლება მაშინ შემსუბუქდეს კანონის საშვალებით, უკეთუ ეს კანონი ემყარება ადგილობრივ თვითმართველობას და პროფესიონალურ კავშირებს. მუშათა კლასის წინ სდგას კითხვა მაგარი და ძლიერი პროფესიონალური კავშირების შექმნისა. პროფეს. კავშირში უნდა შევიდეს ყველა მშრომელი; ცოდნა, ერთობა და ბრძოლის მდიდარი ფონდი და ფონდი უმუშევრობის დროისათვის—აი ლოზუნგი, პროფ. კავშირებისა. ყოველი კავშირის წევრის მიზანი უნდა იყოს: შექმნა სპეციალურათ ფონდისა უმუშევრობის დღისათვის. ყველა მუშამ უნდა ახლავე წარმოიდგინოს ის უბედურება, რომელიც უმუშევრობას თან მოაქვს. ამიტომ ახლავე უნდა მივიღოთ საჭირო ზომები, რომ თავი დავიხსნათ დაღუპვისაგან.

ჯანმრთელი ადამიანისთვის იმაზე უარესი მდგომარეობა არ არის, როცა მას არსებობის საღსარი აღარ აქვს და არც იმედი აქვს არსაიდან. ამიტომ უმუშევარის წინ ორი გამოსავალი გზაა: ან უნდა წავიდეს დანაშაულის ჩასადენათ, მოჰკიდოს ხელი ქურდობა ყაჩაღობას, ან თავი მოიკლას. დედაკაცი კი ასეთ შემთხვევაში პროსტიტუციის გზას ადგება.

აი ის უბედურებანი, რომლებიც თან მოაქვს უმუშევრობას.

ამისათვის, რომ თავს არ დაგვატყდეს ყველა ეს ტანჯვა-უბედურება, უნდა ჩაეწეროს კავშირში ყოველი მუშა და იმუშაოს მასში მთელი თავისი ძალ-ღონით.

აკ. პლებეიშვილი.

ქალაქთა თვითმართველობების წარმომადგენელთა თათბირი

თფილისის ქალაქის თვითმართველობამ 20 სექტემბრისათვის მოიწვია კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობა. რუსეთის დიდმა რევოლუციამ ქალაქების განახლებულ თვითმართველობებს მრავალი საჭირ-ბოროტო საკითხები დაუყენა წინ. ყრილობის მიზანი იყო ყველა ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა და მათი დროს და გარემოების შესაფერათ გადაჭრა.

მოწვეულ წარმომადგენელთა დროზე ჩამოუსვლელობის გამო სხდომები 20-ის ნაცვლად 21-ში დაიწყო. თფილისის ქალაქის თავმა ამხ. ნ. ელიავამ გახსნა სხდომა და მისალმა მას თფილისის განახლებული თვითმართველობის სახელით. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის თავი ამხ. დ. კალანდარიშვილი, მის ამხანაგათ გორის ქალაქის თავი ამხ. ს. რობაქიძე და მდივნებათ ამხ—ბი ი. ჟორდანია და ვ. ხახანოვი. მოწვეული ყოფილა 44 ქალაქის წარმომადგენელი, გამოცხადდნენ კი მხოლოდ 16 ქალაქიდან. ამის გამო დადგენილ იქნა კრება გამოცხადებულთა თათბირათ.

მიღებულ იქნა რეგლამენტი და შემდეგ წესრიგი: სხვადასხვა ტიპების ქალაქებთა ფინანსების სისტემა; სასურსათო საკითხი; ქალაქების სამოქალაქო მართვა-გამგეობის საკითხი; მუშათა საკითხი; ქალაქების თვითმართველობების უახლოესი მიზნები ბინების საკითხთა დარგში; განმანათლებელი მოღვაწეობა; ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ; დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობა; სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირი; კავშირის დებულება; კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს არჩევა; კავკასიის ქალაქთა კავშირის დაარსება და მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამას შემდეგ თათბირი შეუდგა მოხსენების მოსმენას. პირველი მოხსენება წაიკითხა ამხ. გეპშტეინმა ქალაქების სამოქალაქო მართვა-გამგეობის შესახებ. მოხსენება შინაარსიანი გამოდგა. მომხსენებლის აზრით ჩვენს საქალაქო დებულებაში მრავალი შეუსაბამობაა. ნაჩქარევათ დროებით მთავრობის მიერ გამოცემული ცვლილებები და დამატებანი მრავალ შესწორებას მოითხოვენ; საჭიროა არის თვითმართველობების კომპეტენციის გაფართოება; თვითმართველობებს უფლება უნდა ჰქონდეთ სავალდებულო დადგენილების საშუალებით ცხოვრებაში გაატარონ ყოველივე დადგენილება; სრულიად გაუქმებულ უნდა იქნეს ყოველივე ადმინისტრატიულ პოლიციური ოპეკა თვითმართველობებზე. ნაცვლად ამისა დაწესდეს საპარლამენტო რევიზიები და სხვა. თათბირმა მომხსენებლის ყველა ტეზისები მიიღო ცოტაოდენი დამატებით. შემდეგი სხდომა დაინიშნა საღამოს 8 საათზე.

საღამოს სხდომა გახსნა ამხ. შ. სმირნოვის მოხსენებით ქალაქების საფინანსო უფლებების შესახებ. მოხსენება, რომელიც ორი საათი გაგრძელდა, დიდის ყურადღებით და სიამოვნებით მოისმინა თათბირმა.

უმთავრესი ყურადღება მომხსენებელმა მიაქცია ქალაქების საფინანსო უფლებას და დაასკვნა, რომ საჭიროა ამ უფლებების გაფართოება, რათა თვითმართველობებს საშვალება მიეცეს თავიანთ მოვალეობათა პირნათლად შესრულებისა. თათბირმა ერთხმად მიიღო ამ საინტერესო მოხსენების ყველა ტეზისები.

გადამალული საქონლის აღმოჩენა.

თანდათან ცხადდება ფარდა ამ 3—4 დღის წინათ მომხდარ ქალაქში ჩხრეკით გამოწვეულ ამბებს.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ზოგიერთი ვაჭრები, მიუხედავათ მრავალ მოწოდებებისა და წინადადებებისა, მაინც განაგრძობდენ საქონლის გადამალვას და აღვირ-ახსნილ სპეკულიაციას ეწეოდნენ.

ხმები დადიოდა, რომ მაშინ, როცა სასურსათო კრიზისი თანდათან მწვავდება და მცხოვრებთ გაჭირვება მოელის, სარდაფებში და საწყობში აუარებელი საქონელი ინახება. ეს იწვევდა უკმაყოფილებას, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ვინ იცის, რა ფორმით გადმოხეთქდა. ამიტომ მილიციის უფროსმა ქალაქის გამგეობასთან და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებით გადასწყვიტა ჩხრეკის მოხდენა. გადამალულ საქონლის აღმოსაჩენათ არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ჩხრეკის მომხდენთ მიეცათ დარიგებანი, თუ როგორ უნდა ემოქმედათ; მათ, სხვათა შორის, აკრძალული ჰქონდათ კერძო ბინების გაჩხრეკა. ჩხრეკის დღეთ დანიშნული იყო 17 სექტემბერი. უნდა გაეჩხრიკათ უმთავრესად მეხუთე უბანი, სადაც არსებული ცნობების მიხედვით, გადამალული საქონელი ყველაზე მეტი მოიპოვებოდა და იმალებოდენ აგრეთვე დეზერტირები.

ჩხრეკას პირდაპირ განსაცვიფრებელი შედეგი მოჰყვა. გაჩხრიკეს დიდი საწყობები და სარდაფები, მანთაშევის, აფრიკიანის, ანანოვის, მატინოვის, ხოსროევის, ჩილინგაროვის, სეილანოვების და სხ. საწყობების პატრონები მილიციონერების დანახვაზე დაიბნენ; ბევრმა დაჰკეტა საწყობები და მიმალვა მოასწრო, ბევრი დაატყვევეს და საპატიმროში გაგზავნეს. ჩხრეკა ხდებოდა მხოლოდ პატრონის ან მისი რწმუნებულის თანდასწრებით; თუ ეს პირები არ იყვნენ, მაშინ საწყობს გაუჩხრეკავად ჰკეტავდენ.

ანანოვის ქარვასლაში, ავეტისიანცის, ტანდილოვის, არაქელიანის, მამიანცის და სხ. სავაჭრო სახლების საწყობებში აღმოაჩინეს 833,890 მან. მან. ღირებული სხვადასხვა გვარი ქსოვილები (ჩითი, მაუდი და სხ. ფართლეულობა), იქვე აღმოჩნდა 300 წყვილი კალოში და დიდძალი სპ. ჩქა. აფრიკიანის ქარვასლაში და აბაშიძის საწყობში ასეთივე საქონელი აღმოაჩინეს 548,000 მანეთის. ჯემაკოვის საწყობში ნახეს აუარებელი ფართლეულობა, 350 ფუთი საპონი. კონდახჩიანცის საწყობში აღმოჩნდა 550 ათას მანეთის ფართლეულობა და სხვ. საქონელი. მათ რიცხვში ოცდა ათი ფუთი ყავა, ოცდა ათი ყუთი „ზელეტი“, ორმოცდა ათი ფუთი ხალვა და სხ. მილოვის საწყობში—67 ათას მანეთის სხვადასხვა გვარი ფართლეულობა აღმოაჩინეს. ხალათოვის საწყობში ნახეს, სხვათა შორის, 4520 მან. ყავა და 6,930 მან. საპონი. ხოსროევის ქარვასლაში, ბაროიანცის, ამირანოვის, ტერ-გალუსტიანის, ტერ-გადასიანის, ოსიპოვის და სხ. საწყობებში აღმოაჩინეს აუარებელი ფართლეულობა და სხვადასხვაგვარი ქსოვილები და აგრეთვე საპონი, ჩულქები, ქალის ტუფლები, ყავა, ჩაი, ფქვილი (55 ფუთი) და სხ. ჩილინგაროვის მაღაზიაში (როგორც სხვა მაღაზიებშიაც) ფართლეულობას არ ყიდიან და საწყობში კი აღმოჩნდა გადამალული 260 ათასი მანეთის ფართლეულობა! სხვათა შორის აქვე ნახეს გადამალული 59 წყვილი კალოში და 20,500 კოლოფი პაპიროსი. მოსამსახურეებმა განაცხადეს აგრეთვე, რომ ჩილინგაროვის საწყობის პატრონმა ამ დღეებში მოსკოვში თან წაიღო 30 ათასი კოლოფი პაპიროსი.

ჩხრეკა ხდებოდა მილიციის უფროსისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით. ჩხრეკის დროს არსად უწესოება არ მომხდარა და შედეგიც ნაყოფიერი აღმოჩნდა; მაგრამ საქმე ამით როდი გათავდა.

ქალაქში უკვე იცოდენ, რომ მ. დ. ჯ. დეპუტ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით ჩხრეკენ დიდ მაღაზიებსა და საწყობებს გადამალულ საქონლის აღმოსაჩენათ. ამით ისარგებლეს საზოგადოების ნაძირალებმა, საეჭვო პირებმა და მიყვეს ხელი მცხოვრებთა ძარცვა გლეჯას, ვითომდა ჩხრეკას ახდენდენ. ეს ვაჟბატონები, ჯარისკაცისა და მილიციონერის ტანისამოსში გამოწყობილნი, შედიოდენ კერძო ბინაზე და გამოჰქონდათ ოჯახის კუთვნილი ნივთები, სხვადასხვა საგნები. ამან აღელვა მცხოვრებნი და, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 20 სექტემბერს ხალხმა თავი მოიყარა ერევნის მოედანზე უკმაყოფილების გამოსაცხადებლათ.

ქალაქის თავმა ნ. ელიავამ აუხსნა მათ რაში იყო საქმე, მოუწოდა მოქალაქეებს შეუწყნარებელ ხმებს ნუ აყვებიან და თავის მხრით აღუთქვა ზომების მიღება დამნაშავეთა აღმოსაჩენათ. ამით დამშვიდებული ხალხი მალე დაიშალა, ქალაქში სრული წესიერება იქნა აღდგენილი.

შეიპყრეს ბევრი მძარცველთაგანი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დეზერტირები აღმოჩნდნენ. იყო თვითგასამართლების შემთხვევა: მოთმინებიდან გამოსულ ჯარისკაცებმა მოჰკლეს ორი მძარცველი. რეაქციის ყორნები ახმაურდენ ამ მოვლენაზე და ცდილობენ სახელი გაუტეხონ რევოლუციონურ ორგანიზაციებს ხალხის თვალში, ვითომ ამათ მოეწყოთ მომხდარი უწესოებანი. [illegible] მათი ცდა. დემოკრატია არ [illegible] მათ [illegible] ანკესზე და სრულ [illegible] ქალაქში.

ქიათურის არჩევნები
(დასასრული).

მეორე დღეს, ე. ი. 13 სექტემბერს, მუნიციპალურ პლატფორმაზე მოხსენება წაიკითხა ფედერალისტთა პარტიის სახელით გრ. გველესიანმა, რომლის მოხსენება საქმიანი აღმოჩნდა, რაც თავშივე აღნიშნეს ჩვენმა ორატორებმა და თითონაც საქმიანი კრიტიკით უპასუხეს; მომხსენებელს არ დასჯერდენ გამსახურდია და ძმანი მათნი (ამ დღეს კიდევ მიემატათ ერთი გასტროლიორი სტუდენტი), რომელთაც პატარა გამოსვლებით, მაგრამ დიდი დემაგოგიით, ცხარე დაუშვეს უკვე მოსულმა ნაც.-დემოკრატების გასტროლიორებმაც. მოხსენება განზე დარჩა და კამათი გადავიდა პოლიტიკურ ნიადაგზე.

წინა ორ კრებაზე ფედერალისტები, ესერების დაკარგვის გამო, ბოლშევიკებს წაეპოტინენ და მათთან ნათესაური კავშირის გაბმა მოიწადინეს, რის გამო ჩვენმა ორატორმა ისინი ფუტკრას შეადარა, რომელიც თავის ღეროს არ იკეთებს, ფესვებს საჭიროდ არ სცნობს და ამა თუ იმ ხეს აეკიდება ხოლმე და პარაზიტობს. ფედერალისტებსაც არ უნდათ თავისი სოციალური საძირკველის შექმნაზე ზრუნვა. ხან ესერებს აეკიდებიან, ხან ბოლშევიკებს ეტმასნებიან და იქვე დაამტკიცეს გაუვალი ზღვარი მათ შორის. მაგრამ ამ კრებაზე თვით ერთმა ბოლშევიკმაც გადაასხა მათ ცივი წყალი და მათი ეს ხუხულაც დაინგრა, როგორც ესერებზე, განაცხადეს, რომ მათ ატესტაციას არ ვსაჭიროობთ. ანდაზა კი—„ქატო ვერ შესწვდა ძეხვსაო“—დაავიწყდათ.

ამ დღეს კრება გაგრძელდა დილის 4 საათამდე საღამოს 8 საათზე დაწყებული. ხალხით გაჭედილი დრ. საზ. თეატრი ხულაც არ შეთხელებულა და გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს კამათს. კრება, ისე როგორც წინა ღამეს, გათავდა სოც.-დემოკრატების სრული გამარჯვებით.

დილის 4 საათზე დაშლილი ხალხი 12 საათზე (ხუთშაბათი, 14 სექ.) ისევ შეიკრიბა ელექტრო თეატრის დარბაზში; სადაც დანიშნული იყო ეროვნულ-დემოკრატების კრება. აქ მოხსენებას კითხულობდა ამ დღეს თფილისიდან მოსული სპ. კედია ნაც.-დემოკრატების ეკონომიურ სოციალურ პროგრამაზე, ხოლო ბ. ინგილო—ნაციონალურ პროგრამაზე.

მოხსენებებში განსაკუთრებით კედიასაში, ცოტა იყო დემაგოგია, მაგრამ მტკიცე და მომზადებული თავდასხმა სოციალიზმზე და კოსმოპოლიტიზმზე. მათი პირველი ისარი რასაკვირველია, სოც.-დემოკრატებისაკენ იყო მიმართული, თუმცა პარტიების კლასიფიკაციის დროს მოქალაქე კედიამ მათ მხარეზე მოათავსა არა მარტო სოც.-რევოლუციონერები, არამედ—ფედერალისტებიც. სამაგიეროდ ადგ. სოც.-დემოკრატებიც პირველი ეკვეთენ მათ ვრცელი და მკაცრი კრიტიკა-ანალიზით, ჩვენმა პირველმა ორატორმა ორ საათ ნახევარი ილაპარაკა და არა მარტო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ორივე მოხსენება ერთად, არამედ—გზა და გზა გაარკვია სოც.-დემოკრატიზმი. მისი სიტყვის შემდეგ კრება ორი საათით შეწყდა და შემდეგ მხოლოდ ღამის 11 საათზე გათავდა. გაჭედილი დარბაზი სულ განაბული უსმენდა ორატორებს და მხოლოდ მაშინ ირღვეოდა მყუდროება, როცა თავს განწყობილებას გამოსთქვამდა ორატორების მიმართ.

ეს უკანასკნელი კრებაც ჩვენი ორგანიზაციის, ჩვენი მიმართულების ტრიუმფით დასრულდა. ის ბოლოს პოლიტიკურ მიტინგათ, ჩვენ სადღესასწაულო მიტინგათ გადაიქცა. ჩვენი პარტიის წევრები სახე-გაბრწყინებულნი დღესასწაულობდენ გასტროლიორ „გენერლებზე“ ადგილობრივი ძალებით გამარჯვებას, რის გამო ერთმა ორატორმა შენიშნა, რომ აქ გაიმარჯვა ჩვენმა სიყმაწვილემ კი არა, არამედ სისწორემ და ჭეშმარიტებამ იმ პოზიციისა, რასაც სოც.-დემოკრატიზმი ეწოდება. სოც.-დემოკრატების პოზიცია ისე სწორია, მიძღვრება ისეთი სიმართლეა, რომ მისი დაცვა შეუძლია ყველა მუშასო.

ასე დათავდა იდეური ბრძოლა საარჩევნო ასპარეზზე. და დაითავდა ჩვენი მიმართულების ტრიუმფალური გამარჯვებით, რასაც ამტკიცებს არა მარტო რყევაში ჩავარდნილ ჩვენსავე წევრთა რწმენაში განმტკიცება, არამედ—სხვა პარტიების წევრთა აშკარათ ჩვენ პარტიაში გადმოწერაც. ეს უკანასკნელი მოვლენა ძალიან დამაფიქრებელი შეიქნა განსაკუთრებით ფედერალისტებისათვის, რომელთაც გუშინდელი შექნილი წევრები კი არ დაკარგვიათ „ერევნელებივით“, არამედ—კარგა ხნის ნაშიგარნი და მაშასადამე, შეგნებით წასულნი.

ამ იდეურ გამარჯვებას ჯამი გაუკეთდა 16 სექტემბერს საღამოს საარჩევნო დემონსტრაციაში, როცა მრავალრიცხოვანმა კრებულმა წითელი დროშებით და პლაკატებით შემოიარა ქიათურის ქუჩები. სხვა პლაკატებს წინ უძღოდა ერთი დიდი, კარდონზე დიდი ასოებით და დიდი ნუმრით დაბეჭდილი წითელი პლაკატი: „ხმა მიეცით № 1“. დემონსტრა-

ციაში განუწყვეტლივ გუგუნებდა ქალ-ვაჟთა ხმაშეწყობილი ხორო, რომელიც მღეროდა სახელდახელოდ გადმოკეთებულ ევდოშვილის სამაისო ლექსს ამ. კ. ცისაძის მოტივზე:

„გაუმარჯოს პირველ ნომერს,
ამ ჩაგრულთა მტკიცე მებრძოლს!
გაუმარჯოს პირველ სიას,
გაუმარჯოს ჩვენ პარტიას!
არ მოსტყუვდეთ ლამაზ სიტყვით,
არ მოსტყუვდეთ სხვისი ხათრით!
ხმა მიეცით იმ პარტიას,
ვინც ამშვენებს პირველ სიას!“

დემონსტრანტებს დაშლის დროს ასე მიმართა ერთმა ამხანაგმა: ჩვენი ხვალინდელი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ხალხმა წინასწარ დაგვიმტკიცა თავისი ნდობა. ჩვენ დღესვე შეგვიძლია შევსძახოთ ორშაბათს გასაგზავნი დეპეშა: „არჩევნებში გავიმარჯვეთო“, მაგრამ ეს მარტო სიხარულისა და სიამოვნების გრძნობას არ უნდა იწვევდეს ჩვენში. ჩვენ გვირჩევენ ქორწილში კი არა, სამუშაო და ფრიად საპასუხისმგებლო პოსტზე. ჩვენ უნდა გავამართლოთ მასის ნდობა. პარტიის არჩეულებმა პირნათლად უნდა გააკეთონ ის, რასაც მათგან ხალხი მოელის. ხოლო ამისთვის საჭიროა, რომ თქვენ მუდამ მხარში უდგეთ თქვენ არჩეულთ, საჭიროა მტკიცე კავშირით შემოერტყათ მათ ირგვლივ და ასე, შეერთებულის ძალით გააკეთოთ ის, რაც პიროვნებებისთვის ძნელი იქნება. მაშ, მე მოგიწოდებთ არა მარტო იმისთვის, რომ ხვალ მთელი დღე ქუჩაში მუშაობით დაიღალოთ, არამედ შემდეგი მწყობრი მუშაობისკენაც. ამით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენ ხმები გვექნება მეორე არჩევნების დროსაც, მაშინაც, როცა ამ არჩეულებს ვადა გაუთავდებათ ხოლო უკეთესად ის იცინის, ვინც ბოლოსაც იცინის. ეს თქმული არ უნდა დავივიწყოთ.

თუ ასეთი იყო ჩვენთვის ბრძოლის იდეური ნაყოფი, არც რეალური შედეგი ყოფილა ნაკლები: მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომპანიაში ჩვენი მასის გვიან ჩაბმის გამო, ბევრი ჩვენი მომხრე სიაში შეუტანელი დარჩა; მიუხედავად იმისა, რომ ჩაწერილთაგან უამინდობის გამო სწორედ ჩვენი მომხრეთა დიდი ნაწილი ვერ გამოცხადდა (შაბათობით მახლობელი სოფლელი მუშები სოფლად მიდიან ხოლმე და ცუდმა ამინდმა ამ დღეს იქ დასტოვა ისინი), 20 ხმოსანში ჩვენ მაინც 14 გავიყვანეთ. დანარჩენმა პარტიებმა თანასწორად ორ-ორი. ესერები ამდენსაც არ მოელოდნენ, ვინაიდან მათ აქეთ დიდი ძალა არას დროს არ ჰქონიათ, ხოლო ჩვენმა ტრაბახა ნაციონალისტებმა აქაც საკადრისი პასუხი მიიღეს.

[illegible] ყველა ჩვენიანი ხარობს, ყველა გაიძახის აღფრთოვანებით: გაუმარჯოს მუშათა პარტიას! გაუმარჯოს სოციალდემოკრატიას! გაუმარჯოს № 1 ს!

ვერცხლის წყალი.

სოც.-დემ. პარტიაში.

თფილისის კომიტეტის კრება.

19 სექტ. ამხ. კ. გვარჯალაძის თავმჯდომარეობით შედგა თფილისის კომიტეტის ჩვეულებრივი კრება. კრებას დაესწრო თვრამეტი წევრი. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ კომიტეტის ინსტრუქციის განხილვას. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ინსტრუქციის მე 6, 9, 11, 13 და მე-15 მუხლი შეაცვალა და ისე მიიღო სახელმძღვანელოთ. საქმის ს. დ. ფრაქციის შესახებ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ცინცაძემ, გვარჯალაძემ, მომხსენებელმა კოველიოვმა და საოლქო კომიტეტ. წარმომადგენელმა მ. არსენიძემ. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის კომ. რ. ს. დ. მ. პ, იქონია რა მსჯელობა საქმის ს. დ. ფრაქციის დამოკიდებულების შესახებ, გამოსთქვამს სურვილს, რომ მუნიციპალურ კითხვებში ფრაქცია ავტონომიურად მოქმედებს, ხოლო საერთო პოლიტიკურ კითხვებში კი ხელმძღვანელობს თფილ. კომიტეტის დირექტივებით. მომავალი პარტიული ყრილობის შესახებ კომიტეტმა დაადგინა: დაუყონებლივ მოიწვიოს ყველა რაიონების პარტიის წევრების კრება, რაზედაც განხილულ უნდა იქნეს დამფუძნებელი კრების პლატფორმა, არჩეულ უნდა იქნეს საოლქო ყრილობისთვის წარმომადგენლები და ამასთანვე დაევალოს თვითეულ წევრს საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ ერთი დღის ხელფასი გადაიხადოს, ამ მიზნისთვის გაიმართოს წარმოდგენები, ლექციები და სხვა. კრებამ ერთხმად მიიღო კომიტეტში წარმომადგენლად კახეთის რკინის გზის სახ. გურჯაანის მუშების წარმომადგენელი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ამხ. ზ. ჩიჩუას განცხადების თანახმად, კომიტეტმა მიიღო ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის რეზოლიუცია.

თფ. პირველი რაიონ. კოლექ. კრება.

15 სექტემბერს შედგა 1 რაიონის კოლექტივის სხდომა. სხვათა შორის კრებამ მსჯელობა იქონია სისტემატიური ლექციების მოწყობის შესახებ, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა ამ საქმის მოსაწყობათ არჩეულ იქნეს კომისია. ლექტორების გამონახვა ამხ. არსენიძემ მიიღო თავის თავზე.

მდივანმა მოახსენა გაზეთის შემოსავალ-გასავლის შესახებ. გამოირკვა შემდეგი. პირველ სექტემბრამდის საოლქო კომიტეტში შეტანილია 1065 მანეთი, თფილისის კომიტეტში, 1142 მანეთი, გარდა ამისა საოლქო კომიტეტისთვის გადაცემულია წიგნაკების ვალი 250 მანეთი. დარჩა ვალათ მუშათა დეპუტატების საბჭოს წიგნაკების 45 მანეთი. 1 ენკენისთვეს რაიონულ კასაში რჩება დაახლოვებით 1300 მანეთი. 1 ენკენისთვიდან ყოველივე შემოსავალი და გასავალი დაწვრილებით იწერება დავთრებში და მასთან ერთად ხდება პარტიის წევრების რეგისტრაცია, რომლის საშვალებით ყოველ თვის ბოლოს შესაძლოა დაწვრილებითი ცნობების წარმოდგენა.

კრებამ საჭიროთ სცნო თვითეულ ცეხიდან იქნას თითო პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომ მან, ყველა პოლიტიკური თუ ეკონომიური კითხვები, რომლებიც დაიბადება ამა თუ იმ ცეხში, ასწეროს მოკლედ გაზეთში დასაბეჭდათ.

საჭიროთ სცნეს აგრეთვე გაზეთის გავრცელების საქმე თფილისში რაიონულმა კოლექტივებმა იკისრონ. დამფუძნებელი კრების ფონდის შესახებ იქნა წაკითხული საოლქო კომ. წინადადება. კრებამ სცნო საჭიროთ, დამფუძნებელ კრების ფონდის სასარგებლოთ გაიმართოს ფასიანი ლექციები და წარმოდგენა, რის მოსაწყობათ აირჩა კომისია სამი პირისაგან შემდგარი. ორი დღის ქირის გადადება დამფუძნებელი კრების ფონდის სასარგებლოთ კოლექტივმა გადასწყვიტა მიანდოს საერთო რაიონულ კრებას.

თფ. მეორე რაიონის კოლ. კრება.

21 სექტემბერს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

კრებამ იქონია მსჯელობა თფილ. კომ. პროცენტების გადარიცხვის შესახებ და დაადგინა დაუყონებლივ გადაეგზავნოს კომიტეტში თანახმად დადგენილებისა მთელი შემოსავლის 40 პროც. ვინაიდან ამას წინად მოწვეული რაიონული კრება მცირე რიცხოვანი იყო და არ შეიძლებოდა საოლქო ყრილობის დელეგატებისა და კოლექტივის დამატებითი წევრების არჩევა, კრებამ დაადგინა კვირას, 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოიწვიოს მეორე რაიონის ყველა წევრების საზოგადო კრება. კომიტეტის წევრი აცნობს კრებას, რომ კომ. წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევ. დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდისთვის გადადონ ერთი დღის ხელფასი. განცხადება მიღებულ იქნა. კრებამ დაადგინა მიეცეს წინადადება თფ. კომიტეტს, რომ ამ უკანასკნელმა წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოში სოც.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელთ, რათა მათ გახსნან ბიურო, სადაც შესაძლო იქნება ამა თუ იმ უბნიდან ყოველ გვარი ცნობების შეკრება. გაზეთების გავრცელების შესახებ კრებამ დაადგინა ხელ ახლად მიეცეს თფილ. კომიტეტს წინადადება, დაუყონებლივ მოიწვიოს თფ. რაიონ. კოლექტივების შეერთებული კრება, სადაც გამოიმუშავებენ გეგმას გაზეთების გავრცელების შესახებ. ვინაიდან ბიუროს მოსათავსებელი ბინის შოვნა გაჭირდა, კრება ავალებს ამას წინად არჩეულ ტეხნიკურ კომისიას მიიღონ ენერგიული ზომები ამ საქმის მოსაგვარებლად. ვინმე პოდპოლკოვნიკ ლუკა ნიკოლოზის ძე რაიკინის განცხადების შესახებ, რომ მას სურს შეადგინოს მოხალისე პოლკი სანდო და მოწინავე პირებისაგან კონტრ-რევოლიუციონერების საწინააღმდეგოდ და სხვ. და რომელიც თხოულობს კოლ. წარმომადგენლის მასთან გაგზავნას და დახმარების აღმოჩენას, კრებამ დაადგინა: დაუყონებლივ ეცნობოს ეს ამბავი მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტს, საიდაც გამოარკვევენ რაიკინის ვინაობას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ცაგერი (ლეჩხუმის მაზ.)

3 სექტემბერს დ. ცაგერში შესდგა ლეჩხუმის მაზრის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციების წევრთა საერთო კრება სამაზრო კომიტეტის შესადგენათ. კრებას დაესწრო 300 მდე პარტიის წევრი: ჰყვიშის, ლაილაშის, დერჩის, ორბელის, ალპანის და ლაშხეთის საზოგადოებებიდან. კრებამ მსჯელობა იქონია სხვა და სხვა საგულისხმო საკითხებზე და შესაფერი დადგენილებებიც გამოიტანა. სოც.-დემოკ. სამაზრო კომიტეტის მუდმივ ბინად აირჩიეს ცაგერი.

დაბოლოს მოხდა საერთო და სამაზრო სოც.-დემ. კომიტეტის არჩევნები. სამაზრო კომიტეტში აირჩიეს: დადეშქელიანი; ასათიანი, ყიფიანი, ჭელიძე, რამიშვილი, ბურჯალიანი, დოლიძიანი, ფრუიძე, კატო ასათიანი, მიქელაძე, ჭაბუკიანი, გოლეთიანი, ბერიშვილი, ხეცურიანი, არჯევანიძე და ჩიკვაიძე. ლაილაშის რაიონში: ბაბილაძე, ალავიძე, დოლიძიანი, ბურჯალიანი, ლიხაშვილი და ორიანი. ცაგერის რაიონში: მანჯგალაძე, ჩიკვაიძე, მუშკუდიანი, [illegible] და კვანტრიანი.

არჩევნების შემდეგ კრება დაიშალა იმ იმედით, რომ არჩეული პირები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ თავზე ნაკისრ მოვალეობას და [illegible] გააძლიერებენ და გაამრავლებენ სოც.-დემ. პარტიის სასარგებლოთ მუშაობას ამ ჩამორჩენილ მხარეში.

ახი.

მუშათა შორის.

ლანჩხუთი. ხე-ტყის სამრეწველოს მოიჯარადრეთ ითვლება გ. საბახტარიშვილი. აქ მუშაობს ასი კაცი. არა მგონია დღეს სადმე ისეთი დაცემული ხელფასი ეძლეოდეს მუშებს, როგორც აქ ეძლევა. 2 არშ. ნაჭრის „შპალის“ გათლა თითოში ღირს 30 კ, 3 არშინიანის—40 კ. კარგი მუშა დღეში ერთი მეორეზე ათლებს—პირველს 10 ღერას, მეორეს 7 ს. ასე რომ, დღეში იღებს 3 მანეთამდე. რკინის გზაში გამოტანა პირველის ღირს 30 კ., მეორის —60 კ. პირველს ამოიტანს საშუალოდ უღელი კამეჩი დღეში 25, მეორეს 15. ურემით ხარ კამეჩის გამოწყობა ჯდება 200 თუმნამდე. ამოდენა თანხით. თავის შრომით რვა მანეთს ვერ წააცილებს მუშა დღეში. ეს რვა მანეთი წინანდელი 70 კაპეიკია. აქ ისეთი დამპალი ტყეა, რომ 40 პროცენტი ყოველთვის ავათ არის. იქაური ქირა მარტო ხინასაც ვერ უძლის მუშას, სხვა—ტანფეხი, საჭმელი, ოჯახურ მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება. ამიტომაც აქაური მუშებში მუდამ ძველი ტარანით და ცივი მჭადით იკვებებიან. ცუდათ კვება სხვადასხვა ავადმყოფობას აჩენს, ასეთ გაჭირვებაში მყოფ მუშებს ყოველ დღე ემუქრებიან სამხედრო სამსახურში გარეკით და სხვ.

თქვენს ადგილზე ჯარისკაცებს ვამუშავებთ, ემუქრებიან. ამით მუშებს გულს უტეხენ. ბევრმა კი, ვისაც ოჯახში კი რჩებოდა მუშა ხელი, მიატოვეს მუშაობა და ჯარში წავიდნენ.

დაცემული ფასები აქ არის მხოლოდ, სხვაგან მაგ., შპალის თლის ფასი ნატანებში 2 არშინის 80 კ., 3 არშინის მანეთია. წითურშიც ასეთი ფასებია. რატომ ჩვენთან არის ფასები ასე დაცემული.

აუცილებლათ საჭიროა საბახტარიშვილმა მუშების არჩეულ პირებთან ერთად საგუბერნიო სამომრიგებლო კამერის საშუალებით რკინის გზის მმართველობის წინაშე აღძრას საკითხი ძველი რეჟიმის დროს გაკეთებულ იჯარის გამოცვლის შესახებ და ახალი შეკვრის შესახებ დღევანდელ მანეთიან კურსის მიხედვით. ძველი პირობის შეკვრის შემდეგ ერთი ათად გაიზარდა ყველაფრის ფასები და ნუ თუ ამ ფასებით დღეს გაკეთდება რამე!? ამ საქმეს ახლავე უნდა მოეგვარება, რადგან მერე გვიან იქნება.

ს. ებრალიძე.

300 ვერსის „რაზიეზდი“ 16 სექტემბერს შესდგა აქ მოსამსახურეების და დარაჯების კრება, რომელსაც დაესწრო 120 კაცამდე.

მატარებელთა შემდგენის ცხადაიას შესახებ მოხსენება გააკეთა კრების თავმჯდომარემ, მოხსენების შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: ცხადაიას შესახებ, რომელიც ამას წინათ დათხოვნილ იქნა სამსახურიდან „რაზიეზდის“ უფროსის და მისი თანაშემწის წყალობით,—აღიძრას შუამდგომლობა დარჩეს თავის ადგილზე.

კოოპერატივის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგანაც „რაზიეზდზე“ არავითარი სანოვაგე არ იშოვნება, რის გამოც ხშირად მუშა-მოსამსახურეები მშივრები რჩებიან, დაარსდეს კოოპერატიული დუქანი, რომლის სისრულეში მოყვანა დაევალა კრების მიერ არჩეულ პირებს—გ. ბერიძეს, სადგურის უფროსის გაგლოევს, შაბათაევს, დგებუაძეს, თუთიასანის, ცერცვაძეს და ჯარბენაძეს. კრებამ საჭიროთ დაინახა ერთი კაცის მომატება ლამპების ამნთებთ, რადგან სამი კაცი ვერ უთავდება სამუშაოს. დასასრულ კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოლაპარაკება გამართოს რკინის გზის გამგეობასთან, რომ ეგრეთ წოდებულ დილეჟანტთა მატარებელს, რომელიც სდგება თფილისის სადგურზე, არავითარი ვაგონი არ მიაბან 300 ვერსის „რაზიეზდზე“, რადგან ამის წყალობით ის გზაში იგვიანებს 4—5 საათს.

ამხანაგების მონდობილობით **გ. ბერიძე.**

ჯარის-კაცთა წერილები.

„საქართველო“-ს № 177 მოთავსებულია ნ. ასათიანის კორესპონდენცია, სადაც ავტორი დაუმსახურებლად ტალახს მესვრის. რაშია საქმე? 5 აგვისტოს ქ. ალექსანდროპოლში ლექცია წაიკითხა ამხ. კ. კვე—ძემ „ნაციონალურ საკითხზე“. ეს ლექცია იმ მიზნით იყო მოწყობილი, რომ ჯარისკაცთა ფართო მასსას სისწორით გაეგო, თუ რა სახით უნდა გადაწყდეს ნაციონალური კითხვა.

აქ უკანასკნელად ვილაც არა მკითხე პირებმა ჩუმი მოქმედებით დაიწყეს ქართველ ჯარისკაცებში პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა და ურჩევდნენ „ქართველ მხედართა კავშირის“ დაარსებას. ამ ნიადაგზე ათასგვარი უწესრიგობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქაურ შეგნებულ ჯარისკაცებს არ სძინავთ.

ლექციას სხვათა შორის ზემოთ აღნიშნულ „ინიციატორებიც“ დაესწრნენ და როდესაც მოისმინეს საერთოდ ნაციონალური კითხვის დემოკრატიულ ნიადაგზე გადაჭრის საჭიროება და ამის გვერდით ყოველ გვარი კუთხური გამოსვლების უარის ყოფა, მათ არ ეჭაშნიკათ და ლექციის გათავების შემდეგ კამათი დაიწყეს.

სხვათა შორის, მეც სიტყვა ვთქვი და აღვნიშნე ის, რომ დღეს, როდესაც რუსეთის რევოლიუცია თავის ლოღიკურ დასკვნამდე არ მისულა, ჩვენ ვფიქრობთ, საჭირო არ არის ერთი მთლიანი რევოლიუციონური ჯარის ნაციონალურ სექციებათ გათიშვა-მეთქი. იმ პირთა გამოსვლები, რომლებიც ქუჩებში იჭერენ შეუგნებელ ჯარისკაცებს და „სამხედრო კავშირში“ სწერენ, ეს არ არის დასაშვები მეთქი. ნ. ასათიანმა ეს ვერ აიტანა და დასტოვა დარბაზი: თქვენ კავშირს „ქუჩურ“ უწოდეთო. მე იქ საერთოდ კავშირისათვის არაფერიც არ მიწოდებია და თუ ქუჩა ვახსენე, ეს ზემოდ აღნიშნულ ფორმებში მოქმედებას და მოქმედთ შეეხებოდა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ მართლაც „ქუჩურ“ გამოსვლებს, როგორსაც აქ ადგილი ჰქონდა, ვერც ჩვენ და ვერც ერთი შეგნებული ჯარისკაცი ვერ გაიზიარებს, თუ ის, რასაკვირველია, მზად არის საერთო სარევოლიუციო საქმეები აკეთოს.

ჯარის კაცი ნიკო მგელაძე.

შარიფ-ხანა (სპარსეთი). აქ ყოველთვის აურაცხელი გამვლელი ჯარისკაცი გროვდება. ჯარში საერთოდ მშვენიერი კეთილგანწყობილებაა, მაგრამ მასთან ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ერთი მეტად მავნე ჩვეულებაა გავრცელებული—ქაღალდის თამაში. არიან დაბანაკებულნი ბაღებში და დღე და ღამე სულ ქაღალდის თამაშში არიან გართობილნი. ერთმანეთის ცემა, ლანძღვა-გინება, ეს ხომ არა იშვიათი მოვლენაა მათთვის თამაშის დროს. აგებენ უკანასკნელ გროშებს, ხან კი ტანისამოსს და ფეხსაცმელსაც.

15 სექტემბერს აქ დილით ხეზე თოკით ჩამოკიდებული დამხრჩვალი ჯარისკაცი ნახეს. მისი ამხანაგების ჩვენებით გამოირკვა, რომ ის თურმე ღამე თამაშობდა და რაც კი ჰქონია, ყველაფერი წაუგია. აი ასე რყვნის და ამახინჯებს კაცს გონებრივად და ზნეობრივად ეს მავნე ჩვეულება. ამის ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს და სასტიკად უნდა იქნას აღკრძალული ბანქოს თამაში ჯარში. ამასთან დავუმატებ, რომ თვითეულმა ჯარისკაცმა უნდა შეიგნოს, თუ რამდენათ მავნეა ეს ჩვეულება კაცისათვის. დიახ, თვითეულმა თავისუფალმა მოქალაქემ ერთხელ და სამუდამოთ დაგმოს და მოსპოს ეს არა სასურველი მავნე ჩვეულება, მით უმეტეს, ეს ახლა, როდესაც თვითეული წამი ჩვენთვის ძვირფასია, როდესაც რევოლიუცია და თავისუფლება ჩვენგან ხსნას მოითხოვს, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან.

ანტონ კაკუბერია.

ჯარისკაცი კოტე ივანეს ძე ბერძენიშვილი, თელავის მაზრის, ს. იყალთოს მცხოვრები, მსახურობდა მოქმედ ჯარში მე 102 არტილერიის ბრიგადაში, მე 6 ბატარეაში. 13 ივლისს ბრძოლის დროს მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა. დაასაფლავეს ვოლინის გუბერნიაში ლუცკის მაზრის ს. ვარონჩინის სასაფლაოზე.

ამხანაგები ჯარისკაცები: იაკოფ გასიტაშვილი, გიორგი გარსევანოვი, მათე მაისურაძე, გ. ირემაშვილი, გ. ივანიშვილი, ლ. მურადაშვილი, ბ. ხაჯალია.

ჩვენ, მე-19 თურქესტანის მსროლელთა პოლკის ჯარისკაცებმა შევაგროვეთ დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლათ 32 მ. *).

ამხანაგების მონდობილობით
ვანო ხუდუაშვილი.

პროვინციის ცხოვრება

თიანეთის მაზრა. ზაფხულში მთებში გასულ წლებთან შედარებით სიწყნარით ჩაიარა. იყო მოლაპარაკება ქისტებთან და სხვებთან, რომ მოეწყო კომიტეტები და სხ., მაგრამ მოლოდინი საერთოდ მშვიდობიანობის შესახებ არ გამართლდა. სექტემბრის პირველ რიცხვებიდანვე მყუდროება დაირღვა, ყაჩაღობამ, ძარცვა-გლეჯამ ყოველივე საზღვარს გადააცილა: იტაცებენ ძროხას ცხვრებს, ცხენებს, ძარცვავენ ხალხს. ამას ემატება მკვლელობა. მთის ყაჩაღ ქისტებმა ხალხს თავზარი დასცეს, ყველგან შიშია გამეფებული, მთიდან ხალხი გამორბის. შეიარაღებული ყაჩაღები ჯგუფ-ჯგუფებათ 20—40-დე დადიან და განაგრძობენ თარეშს. ამ სექტემბერში შემდეგი ამბები მოხდა: არტანის იგრის ხეობაში თავს დაესხნენ ფშაველებს, მოჰკლეს ერთი ფშაველი, ერთიც დასჭრეს და გაიტაცეს 1200 სული ცხვარი. თიანეთიდან დადევნა მილიციის უფროსი და ერწო თიანეთის კომისარი ნ. ქუმსიაშვილი, მაგრამ მთის ხეობებში გადასვლა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ქისტთა ბრბოები ხეობებში გამაგრებულიყვნენ. ფშავეთიდან გაიტაცეს ცხენები, დასჭრეს ერთი ფშაველი. გაიტაცეს ფშავეთიდან და არაგვის ხეობიდან ძროხების ჯოგები. ხევსურეთიდანაც (ხახაბო) გაიტაცეს ძროხები. ხევ-გრძელაზე (თიანეთის მახლობლათ) თავს დაესხნენ მგზავრებს და გაძარცვეს. თიანეთის ახლოს ტყეში, იგრის ნაპირებში, თუშეთის მთებში, ფშავეთში და პანკისის ხეობაში გამოჩნდნენ ყაჩაღთა რაზმები. ს. ჩეშოს (თუშეთი) თავს დაესხნენ ქისტების ყაჩაღები, დილიდან საღამომდე გაგრძელდა სროლა, თუშთა მილიციონერებმა მოჰკლეს ქისტი-ყაჩაღი, ბოლოს პატრონები გაუთავდათ და უკან დაიხიეს, რის შემდეგ ქისტებმა გაიტაცეს ნახირი. არტნის ხეობაში სამ დღეს ზედი ზედ შეტაკება იყო მილიციონერთა და ქისტ-ყაჩაღებს შორის. სამჯერ შეტაკება ქონდათ ფშაველთ მთებში. ორჯერ თუშეთის მთებში. დატყვევებულია რამოდენიმე ყაჩაღი ქისტი. დანამდვილებით ცნობებია, დიდ-ძალი ყაჩაღები არიან გამოსული, რის გამო შიში იზრდება. თიანეთის სამაზ. კომიტეტმა საგანგებო კრებაზე დაადგინა: ვინაიდან ადგილობრივი ძალები მილიციონერებისა არ არის საკმარისი და მოსალოდნელია თავდასხმა, ამისათვის ეცნობოს, სადაც ჯერ არს საჩქაროთ დახმარება იქნას გაწეული.

21 სექტემბერს მაზრის უფროსმა კომისარმა გ. მენთეშაშვილმა, საქმის მდგომარეობა გააცნო ამ. კავ. საგ. კომიტეტის საქმის მწარმოებელს, დროებით სარ. კომიტეტის თავმჯდომარეს ევ. გეგეჭკორს, გლეხთა ცენტრს და საგუბერნიო კომისარიატს.

თ—ლი მ.

მანგლისი. როგორც მოსალოდნელი იყო, კორნილოვის თანამოაზრეებმა აქაც გამოიჩინეს მიმალვა და გაბედეს ნიღაბის ჩამოხსნა. ისინი დღემდე იყვნენ [illegible] მიმალული და ჩუმათ [illegible] ორგანიზაციებს ყველგან [illegible] საქმეში. როცა გაფრთხილება მისცეს მათ, პატიოსანი სიტყვა დადვეს არ შეეშალათ ხელი რევოლიუციის მსვლელობისთვის, მაგრამ მოტყუილებულნი დარჩით. ნათქვამია: „კუზიანს საფლავი გაასწორებსო“. იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ძველი რეჟიმის დროს ყოველგვარი საშუალებით იცავდენ თვითმპყრობელ მთავრობის ინტერესებს, ვერ გადაჰქმის ვერავითარი პროპაგანდა. კორნილოვის გამოსვლით ზოგიერთი წელში გამართული უფროსები დაპატიმრეს და ასე ჯერ ჯერობით აქაურობა რევოლიუციის მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან გასწმინდეს. ზოგიერთებმა მიმალვა მოასწრო.

მანგლისის გარნიზ. აღმ. კომიტ. წევრი
ნ ტუღუში.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გაზეთის უახლოვესს ნომერში მოათავსოთ ეს წერილი. მე მაქვს ს. ღარკვეთის და ზოდის საზღვარში, ჩემს მამულ „კოდის წყაროში“ ერთ სართულიანი, ქვითკირის შვიდი ოთახი სახლი რომელშიაც არ ვცხოვრობ. დიდი ხნიდანვე განვიზრახე ეს სახლი რაიმე საზოგადო დაწესებულებისათვის მომეხმარებია, რისთვისაც არა ერთხელ მივმართე ზოდის და ღარკვეთის საზოგადოებებს, თუ პირადად, თუ პრესის საშუალებით, მაგრამ ჩემ წინადადებ-მოწოდებებს ღრმადის დუმილით უპასუხებენ. ერთხელ კიდევ უკანასკნელად მოვუწოდებ იმავე საზოგადოებებს, ჭიათურის მუშათა საბჭოს, რაიონულ კომიტეტს და მასწავლებელთა კოლექტივის საშუალებით, შემდეგი წინადადებით: დაინიშნოს სპეციალური მცოდნე პირი, ინახულოს დასახელებული სახლი და უკეთუ მიზან-შეფარდებულად აღმოჩნდება, მზათ ვარ დღესაც დავუთმო სახლი, გარშემო მცირედი ეზოთი უფასოდ. სახლი შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს პირველ დაწყებითი შკოლისათვის, ანუ კოოპერატიულ საწყობათ და სხ.; იგი არის დაშორებული ღარკვეთის სადგურიდან 3 ვერსის მანძილზე და დამარჯვებით ემსახურება ღარკვეთში ზედა ბაქრაძეებს, ლუღუნიშვილებს, ყიფშიძეთ და სხ. ზოდში—ხვედელიძეთ, ღვთისიძეთ, გაბაძეთ, გიორგაძეთ, აბესაძეთ და ბარათაშვილ-თამაზაშვილებს და დასავლეთის ნაწილს ს. სარეკისას.

თუ რომ საზოგადოება ჩემს წრფელ განზრახვას გაიზიარებს, რემონტი და გეგმისამებრ სახლის გადაკეთება უნდა დაიკისროს თვით მომთხოვნელ საზოგადოებამ.

სახლის ღირსების გამოსაკვლევი ცნობები შეუძლიათ წარმოადგინონ ფარეულის კანტორის გამგე ამხ. ქორქმა და ტეხნიკ თელიაერე სოფრონოვმა.

შენობაში ჩემთან იურიდიულ მონაწილეთ ითვლებიან მოქ. ეკვთიმე ბერძენიშვილი—(ბათუმიდან) და კოტე აბდუშელიშვილი, რომლებიც საზოგადოებისათვის საკეთილდღეოთ გამოსვლებს მუდამ მხარს უჭერდნენ და ამ შემთხვევაშიაც თავის ხვედრ ნაწილს სახალხო წვლილად აქცევენ. თვით მეც ვმოქმედობ მათთან შეთანხმებით.

ხვ. ბარათაშვილი.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს საღ. 4—6 ს. მდე.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—4)

ქ. ქუთაისში.
ექიმი შ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ზალესკის ქ., ხაჭირაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნორის“ პირდაპირ.

ქუთაისში
ექიმი ბ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ავათმყოფებს მიიღებს დილის 9—12 საათ. და 6—8 ს. საღამოს

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურად ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გურის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი დ ელექტრიზაცია. ტეხნიკური ქუჩა, № 4

---

*) უადგილობის გამო სიას ვერ ვბეჭდავთ. რედ.

[illegible] სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.